



MES 3 21 0000686799

08/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 24 – 25. 06.2021

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ (24 ივნისი)

სხდომის დასრულების დრო: 12:40სთ (25 ივნისი)

სხდომის თავმჯდომარე: ნიკა თიკანაშვილი (I, II, III, IV)

სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (V, VI, VII)

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
- გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
- ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

- | | | |
|---------------|-------------|------------|
| უნივერსიტეტის | ასოცირებული | პროფესორი; |
|---------------|-------------|------------|
- 6. გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 7. ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
- 8. ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- 9. გიორგი ღალანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 10. დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
- 11. დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
- 12. გვატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
- 13. თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- 14. თეონა მატარაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
- 15. ნინო ინასარიძე -** "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
- 16. ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბეგიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III, IV
2.	გიორგი ქვარცხავა			I

			სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	
3.	ნინო ლომიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
4.	პაატა კოლუაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ ხელმძღვანელი	I
5.	ნანული დანელია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ავტორიზაციის და აკრედიტაციის განყოფილების უფროს	I, II, III, IV
6.	ლენა შატაკიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	II, III,
7.	ქეთევან კოტეტიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III,
8.	ქეთევან ქუთათელაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III,
9.	თამარ ლომინაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	II, III,
10.	ჯემალ ბერიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი, საბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის "ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები" ხელმძღვანელ	II, III,

11.	ლალი ხუნწარია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	II, III,
12.	შალვა კვირკველი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	II
13.	ვახტანგ აბულაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	II
14.	ნანული ღიბრაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	II, III,
15.	დავით ბერიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	II
16.	ავთანდილ ასათიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III
17.	ნიკოლოზ აბზიანიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III
18.	ჯანიკო ხუნწარია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	III
19.	ოთარ ზუმბურიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის "ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები" ხელმძღვანელი,	III
20.	ნუგზარ წერეთელი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	IV
21.	მამუკა მაისურაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
22.	მაია მშვილდაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	IV
23.	მაია ცინცაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის "ქიმია"	IV

			ხელმძღვანელი, ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,	
24.	ირაკლი კორძაია	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსის მ/შ	V, VI, VII
25.	თეა ქოიავა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	V, VI, VII
26.	მარიან ქორიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, ბიოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII
27.	რუსუდან ხუბუნაიშვილი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII
28.	ქეთევან დოლიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგიის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII
29.	დავით ბარათაშვილი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულ ისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მარინე ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მანანა კევლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ანჟელა აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	თამაზ ბიჭიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
6	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
7	ქრისტინე ჩიხრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
8	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
9	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

10	გიორგი ტიტვინიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ზურაბ ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI, VII
13	ბესარიონ ლასარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI, VII
14	ნათია ლაჭავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI, VII
15	ლევან ციცქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI, VII
16	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI, VII

აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა, ასევე, რიგ საკითხებზე სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნინო იმნაძემ სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 -ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "აგრარული ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფო ქურასბედიანმა, მან საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა დღის წესრიგის მიხედვით მე - 4 საკითხად განსაზღვრული „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის პირველ საკითხად განხილვას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "აგრარული ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "აგრარული ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრარული ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 4 მაისის N361579 გადაწყვეტილება
5	ხელახლი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	აგრარული ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
----	--	---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „აგრარული ეკონომიკის“ პროგრამაზე ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, ვიზიტამდე აკრედიტაციის ჯგუფის წევრები რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, შეხვედრებზე მიმდინარეობდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და თავად პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის განხილვა, მათ განსაზღვრეს ის აუცილებელი კითხვები, რომელიც შემდგომში დაისვა ვიზიტის დღეს. ვიზიტის დროს ისინი შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და სხვა პირებს. ასევე განხორციელდა დაწესებულების მიერ მოწოდებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის დათვალიერება, სამუშაო შეხვედრა მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, ექსპერტის თქმით, მათ ჰქონდათ საშუალება ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. როგორც ექსპერტმა აღნიშნა მათ მიერ მომზადებულ დასკვნაზე დაწესებულების მხრიდან შენიშვნები არ გამოთქმულა. ექსპერტის თქმით, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის თანახმად აგრარული ეკონომიკა შედარებით სუსტად არის განვითარებული და მას მნიშვნელოვანი სისტემური და სტრუქტურული ხარვეზები გააჩნია. სოფელს გააჩნია აუთვისებელი და გამოუყენებელი ბუნებრივი რესურსების მარაგი, რომელთა ჯეროვანი გამოყენებაც ხელს შეუწყობს, როგორც სოფლის განვითარებას ასევე ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. სოფლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, წარმოების განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის განვითარებისაკენ მიმართული მიზნობრივი ღონისძიებები და სექტორში ინვესტიციების მოზიდვა. სწორედ ეს საკითხები სოფლის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია და აღნიშნული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია მაღალი კვალიფიკაციის აგროეკონომისტების მომზადება, სწორედ ამ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი დოქტორანტურის პროგრამა აგრარული ეკონომიკა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ „აგრარული ეკონომიკა“ ერთ-ერთი უნიკალური სადოქტორო პროგრამა საქართველოში. ფაკულტეტი სადაც ეს პროგრამა ხორციელდება 2014 წელს შეიქმნა, თუმცა ტექნიკურ უნივერსიტეტს

სოციალური მიმართულებებით პროგრამების განვითარება განხორციელების დიდი გამოცდილება აქვს უკვე 90-წლებიდან. პროგრამას 2020-ში მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, მანამდე 2015-2020 წლამდე პროგრამა ფუნქციონირებდა აკრედიტებულ რეჟიმში, პროგრამამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, ხოლო ბოლო აკრედიტაციიდან დღემდე, პროგრამაში განხორციელებულია მასშტაბური ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავდა წინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებას, ამ ცვლილებების შედეგად პროგრამას ძალიან დიდი და სერიოზული ნაბიჯები აქვს წინ გადადგმული. დაზუსტდა ეკონომიკის დოქტორის კვალიფიკაციის შესაბამისობა, ასევე დაკონკრეტდა პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები, დაკონკრეტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო. მომზადდა მთელი რიგი ახალი სასწავლო კურსები, განახლდა და გადამუშავდა ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი. ყველა ის ცვლილება ექსპერტის განმარტებით, გამოდიოდა პირობითი აკრედიტაციის მიღებისას გამოთქმული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, კერძოდ: სავალდებულო სასწავლო კურსებში დაემატა პროფესორის ასისტენტობა (5 კრედიტი), აგრარული ეკონომიკა- თანამედროვე ტენდენციები (5 კრედიტი), ინსტიტუციური ეკონომიკა (10 კრედიტი). გარდა ამისა, სასწავლო კურსი "კვლევის მეთოდები" (5 კრედიტი) შეიცვალა სასწავლო კურსით "კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში" (6 კრედიტი), "სწავლის მეთოდები და განათლების მენეჯმენტი" (6 კრედიტი) შეიცვალა სასწავლო კურსით "სწავლის მეთოდები" (5 კრედიტი), თემატური სემინარის 1 და თემატური სემინარის 2 კრედიტების რაოდენობა შემცირდა და გახდა 5 კრედიტი.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა არის არანაკლებ 3 წელი, არის 60 კრედიტიანი სასწავლო კომპონენტი, აქედან 55 კრედიტი გახლავთ სავალდებულო და 5 კრედიტი არის არჩევითი. კვლევითი კომპონენტი მოიცავს: პროექტს/პროსპექტუსს, სამ კოლოქვიუმს, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ დაცვას. კვლევითი კომპონენტისა და მთლიანად პროგრამის შემაჯამებელ ნაწილს წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომი - დისერტაცია, რომელიც სრულდება საჯარო დაცვით. დისერტაციის საჯარო დაცვამდე დოქტორანტს გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია და წარდგენილი ჰქონდეს მოხსენება მინიმუმ ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან პროგრამა წარმოდგენილია გადახალისებულად და განახლებულად ამ ერთი წლის განმავლობაში, შესაბამისია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან. როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, მათ არ აქვთ რეკომენდაციები, თუმცა აქვთ სურვილები. პროგრამის განვითარებისათვის. ექსპერტებმა ასევე შენიშნეს საუკეთესო პრაქტიკა, რაც დასკვნაში იქნა ასახული. მისასალმებელია, როდესაც დოქტორანტი იწყებს კვლევითი კომპონენტის შესრულებას ყოველსემესტრულად არის მონიტორინგისა და ყურადღების ქვეშ, მას უწევს სპეციალური ორგანიზებული კომისიის წინაშე პროექტის წარდგენა, ჯერ არის პროსპექტუსი, შემდეგ სამი კვოლოქვიუმი. ყოველ სემესტრში სამეცნიერო ხელმძღვანელს აქვს მის პროგრესზე დაკვირვების შესაძლებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამა შეაფასეს მაღალკვალიფიციურმა ექსპერტებმა. როგორც მან აღნიშნა, პროგრამა პასუხობს ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რეგიონების განვითარებას და აშ.

ინსტიტუციის წარმომადგენლის განმარტებით არ დარჩენილა არცერთი საკითხი წინა რეკომენდაციებიდან, რომელიც მათ არ გაითვალისწინეს. მისი თქმით, რეკომენდაცია იყო სილაბუსზე, რომელსაც ერქვა კვლევის მეცნიერული მეთოდები ეკონომიკაში, მათ ეს სილაბუსუ ხელახლა გაიარეს და რეკომენდაციების შესაბამისად გადამუშავეს. მან მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, რომლებმაც არ დაინანეს და ყველაფერი გაიღეს, ეს იქნებოდა თანამედროვე ლიტერატურა თუ თავიანთი აზრების გაზიარება. მათ მიიღეს 6 კრედიტიანი სანიმუშო სილაბუსი. სილაბუსი პედაგოგიკის

მენეჯმენტი გააუქმეს და გააკეთეს ხელახლა სწავლების მეთოდები. დაწესებულება მზაობას აცხადებს ნებისმიერ სიახლესა თუ ცვლილებაზე. პროგრამა გახდა სიცოცხლისუნარიანი, პროგრამა გადაგზავნილ იქნა ქვეყნის ცნობილ მეცნიერებთან, რომელთაგანაც დაწესებულებამ დადებითი შეფასება მიიღო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა გიორგი ღალანიძემ ღრმა პატივისცემა გამოთქვა დაწესებულებასთან მიმართებით. მისი განმარტებით შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევა დოკუმენტებში არ არის კარგად გამოკვეთილი. ბიუჯეტი არის დეფიციტური. ის დაინტერესდა, იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან იფარებოდა ბიუჯეტის დეფიციტური მხარე. პროგრამასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ის ნამდვილად არის უნიკალური, ის გაეცნო ყველა დისერტაციას, განსაკუთრებით დასკვნების ნაწილს. მისი თქმით, გარკვეული მეცნიერული სიახლე, რაც სადოქტორო ნაშრომს უნდა ჰქონდეს წარმოდგენილია. ასევე ის გაეცნო ბიბლიოგრაფიას, იქ არის 1909-1917 წლები, ჩაიანოვი, რომელიც არის ცნობილი რუსი ეკონომისტი, რომლის მოსაზრებები იყო თუ როგორი უნდა იყოს კოლმეურნეობების მაგიერ სასოფლო სამეურნეო ოპერატივების შექმნა და განვითარება. იქვეა გელ ბრეიტის ნაშრომები, რომელიც არის 80-იანი წლების და არის კლასიკა. მისი თქმით, ამ თვალსაზრისით პროგრამას პრობლემა არ აქვს.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ დასკვნის აღწერილობით ნაწილში რატომ ეწერა იმპერატიულად რომ სავალდებულო გახდეს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან მინიმუმ ერთი პუბლიკაციის გამოქვეყნება Scopus-ში ან Web of Science - ში. მაშინ როდესაც აღნიშნული ჩამოყალიბდა რჩევად.

ექსპერტის განმარტებით, ქვესტანდარტ 2.4-ში ნახსენები სიტყვა „სავალდებულო“ ნამდვილად კატეგორიულად ჟღერს, ალბათ სჯობს შეცვლილიყო „სასურველი“ ტერმინით. რაც შეეხება იმას თუ რატომ არ არის რეკომენდაცია, ექსპერტმა განმარტა, რომ მოთხოვნა არის სამ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და ბაზებში პუბლიკაციის გამოქვეყნება, უბრალოდ იქ მითითებული არ იყო Scopus-ი ან Web of Science. მისი თქმით, ბევრ სადოქტორო პროგრამას საქართველოში ეს მოთხოვნა არ აქვს, მშობლიურ უნივერსიტეტში ეს მოთხოვნა გაჩნდა 2018 წლიდან. 2018 წლის ჩარიცხული დოქტორანტებისთვის კი ეს სავალდებულო გახდა. ეს არის მაღლა აწეული თამასა რისი გათვალისწინებაც მომავალში სასურველია.

დაწესებულების წარმომდგენელმა შრომის ბაზართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევის ის ზოგადი სისუსტე ტექნიკურ უნივერსიტეტში აღმოფხვრილია და ის მიზანი რაც სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის კვლევას აქვს და ის სფერიკა, რომ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებება შესაბამისი მიმართულების მქონე, ერთის მხრივ სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებაა, მათგან იყოს მოწოდებული სრული ინფორმაცია ორი მიმართულებით ერთი რამდენი არის საჭირო, როგორც აკადემიური პედაგოგიური მიმართულებით, ისე სამეცნიერო მიმართულებით და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ის კვალიფიკაცია და კვლევის შედეგი, რომელიც აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამამ უნდა დადოს თითოეულ გრანტთან მიმართებაში. მიზანი, რაც შრომის ბაზრის კვლევას აქვს და რასაც თან ახლავს მისაღების შედეგები თითქმის ყველაფერი ადგილზეა წარმოდგენილი. უშუალოდ სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის კუთხით, მათ შორის აგრარული ეკონომიკის როლი, საჭიროება და მხარდაჭერის შესაძლებლობები სახელმწიფოს სტრუქტურებისთვის. რაც შეეხება ბიუჯეტს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დოქტორანტურის პროგრამა ზოგადად დეფიციტური და წამგებიანია, ტექნიკურ უნივერსიტეტში ყველა პროგრამის შენახვა ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტიდან. მისი

თქმით, გამოცხადებული სამეცნიერო თემა და გამოცხადებული მიმართულებები პრიორიტეტების მიხედვით განისაზღვრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოქტორანტს უნდა ჰქონდეს 3 პუბლიკაცია, აქედან ერთი აუცილებლად უნდა იყოს მხოლოდ მისი ანუ ინდივიდუალური და არა თანაავტორობით და ერთი უნდა იყოს საზოგადოებით, მაღალ რეიტინგულ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული. სიტყვა მაღალრეიტინგული მიუხედავად იმისა, რომ ზოგადია, უნივერსიტეტი ამ ფორმულირებას დაეთანხმა, ვინაიდან აკრედიტაციის სტანდარტები ერთი და იგივე იყო, მაგრამ რეკომენდაციები ნელნელა მძიმდებოდა, ეს მიმართულება ლოგიკური გაგრძელება იყო. რადგან ამ მიმართულებით ხარისხის კონტროლი შენარჩუნებული ყოფილიყო. მისი თქმით, ამ მიმართულებების მიხედვით მათ მოიკვლიეს რეიტინგები და შესაძლო გამოქვეყნების წყაროები და დაადგინეს, რომ არსებობს რეიტინგული კრებულები, რომლებიც არა თუ არ ჩამოუვარდება, არამედ კიდევ უფრო ძნელია იქ მოხვედრა კონკრეტული ნაშრომისა. მაგრამ ისინი ეთანხმებიან რჩევას, რომ ინდივიდუალურად, პროგრამის ფარგლებში მოხდეს გარკვეული პირობების გაწერა, იმ დარგის და იმ სპეციფიკიდან გამომდინარე, რასაც ითხოვს SCOPUS ბაზები. ეს მეტად მოქნილს და ხარისხობრივადაც წარმატებულს გახდის თითოეულ პროგრამას. დაწესებულების განმარტებით ეს და სხვა დანარჩენი რჩევებიც არის ღირებული.

პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, როდესაც 2014 წელს პროგრამაზე დაიწყეს მუშაობა, პირველი რაც მათ გააკეთეს იყო ის, რომ მივიღნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სადაც მიიღეს ინფორმაცია, რომ აგრონომების და აგროეკონომისტების დიდი დეფიციტი იყო. მათ ხელშეკრულებები გააფორმეს სამინისტროსა და ყველა ძირითად ორგანოსთან, სტრატეგიისა და ანალიზის დეპარტამენტთან ყველა სააგენტოსთან და სხვა ორგანოებთან. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დოქტორანტებს არ სჭირდებათ პრაქტიკები, ამ ხელშეკურლების თანახმად დოქტორანტებს შეუძლიათ მათთან 2 კვირა მუშაობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება დაწყების დრო: 15:42

დასრულების დრო: 16:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. საბჭომ დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

საბოლოო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება.
3. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა

რჩევები

1. სასწავლო კურსის სილაბუსებში და პროგრამაში გამოყოფილ იქნას ცალკ-ცალკე ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;
2. მოხდეს სადოქტორო პროგრამის პირველი სწავლის შედეგის სტილისტური კუთხით ცვლილება ბლუმის ტაქსონომიიდან შესაბამისი ზმნის გამოყენებით;
3. პროგრამაში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი არჩევითი კურსები მიკრო და მაკრო ეკონომიკის კუთხით;
4. სილაბუსებში აისახოს სასწავლო კურსებში ინტეგრირებული ინტერაქტიული პრაქტიკული მეცადინეობები;
5. საგანმანათლებლო პროგრამის უფრო მეტ სასწავლო კურსში მოხდეს დარგში სამეცნიერო შრომების მითითება;
6. სავალდებულო გახდეს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან მინიმუმ ერთი პუბლიკაციის გამოქვეყნება Scopus-ში ან Web of Science -ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში/კონფერენციათა მასალების კრებულში;
7. როგორამა პერსპექტივაში გაძლიერდეს მოწვეული პერსონალით, რაც უფრო მეტად გაამდიდრებს პროგრამას;
8. პერსონალისა და სასწავლო კურსების შეფასებაში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტმა მოახდინოს სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგრარული ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბრის N412 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტელეკომუნიკაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი ტელეკომუნიკაციაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, გ. ვისტავას ქ., №77, სასწავლო კორპუსი №8,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N538 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტელეკომუნიკაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8

9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის დოქტორი ტელეკომუნიკაციაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ., №77, სასწავლო ცორპუსი №8,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომას შემოუერთდა თამარ ჩხეიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და დაწესებულებას, ხომ არ იყვნენ წინააღმდეგი ერთი შესვენების ფარგლებში განხეხილათ „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამები თანმიმდევრობის დაცვით, ვინაიდან ორივე პროგრამა შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა.

საბჭოს წევრები და დაწესებულება დაეთანხმნენ სხდომის თავმჯდომარის შემოთავაზებას.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტის განმარტებით, მოძველებული ტექნოლოგიების სწავლების შემჭიდროვების ხარჯზე უნდა გამლიერდეს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება. პროგრამას დაემატოს დაპროგრამების საგნები C+. ინგლისური ენის სწავლება გასაძლირებელია. შემუშავდეს სწავლის შედეგების რუკა ძირითადი დარგობრივი საგნების სწავლის შედეგების გათვალისწინებით, ასევე, მოხდეს მსგავსი შინაარსის და შედეგების საგნების კომპაქტურად წარმოდგენა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულების საგნების დამატება.

ექსპერტის თქმით, პროგრამები შეესაბამება სტანდარტების დონეს. ექსპერტის განმარტებით, საჭიროა პროგრამების მცირეოდენი გაძლიერება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქართველოში თუ რამე განვითარდა 20-30 წლის განმავლობაში არის ტელეკომუნიკაცია. სატელეკომუნიკაციო ბაზარზე არიან

ძირითადად წარმოდგენილები მათივე ინსტიტუციის კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი არ ეთანხმებიან პირველ რეკომენდაციას - „მოძველებული ტექნოლოგიების სწავლების შემჭიდროვების ხარჯზე უნდა გამლიერდეს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება“ და აღნიშნა, რომ ისინი არ ასწავლიან მოძველებულ ტექნოლოგიებს, შესაძლოა ექსპერტებმა ლაბორატორიაში ნახეს ძველი მოწყობილობები, მაგრამ მისი თქმით, ისევე როგორც მათემატიკაში არ იცვლება საერთო ძირითადი კანონები, ისე ტელეკომუნიკაციაშიც არის კანონები, რომელიც დღესაც უცვლელია. დაწესებულების წარმომაგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციას „დაემატოს პროგრამას საგნები: დაპროგრამების მაღალი დონის რომელიმე ენა - C, C++, Java ან სხვა ოპერაციული სისტემები; ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები; კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია“ ნაწილობრივ ეთანხმებიან და შემდგომში აუცილებლად გაითვალისწინებენ მოდიფიკაციის დროს. მისი თქმით, ოპერაციული სისტემები დაწესებულებას აქვს, რომელსაც ჰქვია „გამოყენებითი ეკონომიკის საფუძვლები“, რომელზეც რამდენიმე ლექციაა მიძღვნილი. ის კიდევ ერთხე დაეთანხმა ექსპერტებს C++ ის შემოტანის აუცილებლობაში. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „დაემატოს ინგლისური ენის სწავლება, როგორც სავალდებულო კომპონენტი (მათ შორის ტექნიკური ინგლისური)“ მან აღნიშნა, რომ მათ ადრე ჰქონდათ ორ სემესტრიანი 3-3- კრედიტი, ხოლო ამ პროგრამაში გათვალისწინებულია 10 კრედიტი, 5 და 5. მან მზაობა გამოხატა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ასევე არ ეთანხმებიან რეკომენდაციას „შემუშავდეს სწავლის შედეგების რუკა ძირითადად დარგობრივი საგნების სწავლის შედეგების გათვალისწინებით“ მისი თქმით, უნივერსიტეტში არის სწავლის შედეგების რუკა, სადაც ასახულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის, მათ შორის დარგობრივი (ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი) სასწავლო კურსების სწავლის შედეგებიც. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „ მოხდეს მსგავსი შინაარსისა და შედეგების საგნების კომპაქტურად წარმოდგენა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულების საგნების დამატება“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ასწავლიან ახალ ტექნოლოგიებს, ეს არის ჭვიანი სისტემები, ჭვიანი ქსელები, საგნების ინტერნეტი, სენსორული ქსელები და სხვა. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით „დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტში, გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტელეკომუნიკაციის 30 სტუდენტი ყოველწლიურად მონაწილეობს საქართველოში ჩატარებულ კონფერენციაში, გაცვლით პროგრამებში ერასმუს პლიუსის ხაზით. რა თქმა უნდა უკეთესი იქნება მეტი სტუდენტის გაგზავნა, თუმცა არსებობს ფინანსური პრობლემა. ისინი აღნიშნულ რეკომენდაციას მიირებენ რჩევის სახით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე მათ უფრო ბევრი რეკომენდაციები ჰქონდათ, თუმცა, დაწესებულებამ საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია გაითვალისწინა. მისი თქმით, მისი სფერო ტელეკომუნიკაციები არ არის, ამიტომ ბევრ საგანზე რომელიც დაკავშირებულია მეხუთე რეკომენდაციასთან დეტალებში ვერ შევა, თუმცა ვიზიტის დროს, დამსაქმებლებმაც და სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ძირითადი საგანი დაკავშირებულია დაპროგრამებასთან, ოპერაციულ სისტემებთან.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღალანიძემ, სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით.

ექსპერტის განმარტებით, სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია საკმაოდ კარგად იყო შედგენილი, უბრალოდ თუ გავითვალისწინებთ აკრედიტაციის სახელმძღვანელოს, სწავლის შედეგების რუკისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსები, იქ კი ზედმეტად იყო არჩევითი სასწავლო კურსები, იქნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს ერთი და იგივე შედეგზე ძალიან ბევრი გზით გავდიოდით, ერთი

და იმავე დონეზე. ეს კი არ ქმნიდა ნათელ სურათს. ექსპერტმა კიდევ ერთხელ განმარტა რომ სიცხადის მომენტი იყო ბუნდოვნი. მისი თქმით, რეკომენდაციები პროგრამულ ენასთან დაკავშირებით, ინგლისური ენის გაძლიერებასთან უმუალოდ წამოსულია სტუდენტებისა და დამსაქმებლების მხრიდან, რომლებმაც ხაზი გაუსვეს რომ ამის გარეშე არის შეუძლებელი, განსაკუთრებით მათი მხრიდან აქცენტი გაკეთებული იყო დაპროგრამების საკითხებზე.

საბჭოს წევრმა კითხვა დასვა 2.1 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა დაშვების წინაპირობებს. ის დაინტერესდა აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტებმა გადაიტანეს თუ არა რჩევებში.

დაწესებულების განმარტებით, აღნიშნულის გადატანა მოხდა რჩევაში.

ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა მოითხოვა დეტალური განმარტება. ის დაინტერესდა როგორ ხდებოდა საჭიროების შემთხვევაში სტუდენტების ჩართვა კურსებში.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის სათაური შეცვლილია, ის დაინტერესდა, როგორ იქნა შეცვლილი და რატომ კონკრეტულად ამ მიმართულებით? მისი თქმით, კონცენტრაციების განლაგება არის შენდეგი: მობილური კავშირების სისტემები, ტელეკომუნიკაციის ქსელები, ოპტიკურ ბოჭკოვანი სისტემები და რადიოტექნიკა, ის დაინტერესდა, ამ მიმართულებებითა და აქტივობებით ხდება თუ არა ტელეკომუნიკაციის იმ ძირითადი ოთხი მიმართულების მოცვა როგორიც არის: მობილური კავშირის სისტემები, იმტერნეტ ტექნოლოგიები, სატელელივიზო სისტემები და სატელელივიზო სისტემები.

საბჭოს წევრმა გიორგი ღალანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნები წარმოდგენილი არ არის ერთ დოკუმენტად. სადაც იქნებოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა გაანალიზა ეკონომიკის სამინისტრომ, რა არის დღევანდელ დღეს სეტქორების მოთხოვნები და აშ. მისი თქმით, ამ სპეციალობაზე არის მოთხოვნა, თუმცა აქ ლაპარაკია იმაზე თუ შრომის ბაზარი რა კრიტერიუმებს უწესებს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს. მისი თქმით, იმისათვის რომ დაწესებულებამ წინასწარ იცოდეს ის თუ რომელი კონცენტრაციები უნდა განავითაროს, ამისთვის კონკრეტული შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენაა საჭირო.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, ციფრული სატელეკომუნიკაციო პროგრამები, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი მიმართულება, ოთხივე კონცენტრაცია არის აქტუალური და საინტერესო. მისი თქმით, პროგრამაში გათვალისწინებულია ორი პრაქტიკა, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, ის დაინტერესდა კონცენტრაციების მიხედვით თუ არის შესაძლებელი პრაქტიკების შეთავაზება სტუდენტთათვის.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ წარმოუდგებელია კურსდამთავრებულის დასაქმება ინგლისურის ენის გარეშე. წებისმიერი საექსპულატაციო დოკუმენტაცია არის ინგლისურ ენაზე. ბევრ სილაბუსში გაწერილია და რჩევაშიც არის ნახსნები ლიტერატურისა და ლაბორატორიული ბაზის განახლებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც მან აღნიშნა, სილაბუსებში საკმაოდ აქტიურად არის გაწერილი ლაბორატორიული საათები, რაც მისასალმებელია. შესაბამისად ის დაინტერესდა აღნიშნულთან დაკავშირებით რა ეტაპზე დაწესებულებადა და რა სამუშაო მიმდინარეობს. მისი თქმით, თანამედროვე სწავლებას თან უნდა ასწრებდეს შესაბამისი თანამედროვე მასალები და მოწყობილობები კადრების მოსამზადებლად. ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიც არის რადიოლოგია, რადიონავიგაცია, იგივე სატელიკური ნავიგაციების გამოყენება, ლიტერატურა საინტერესოა, თუმცა 2012 წლიდან დღემდე ეს დარგი განვითარდა, ის დაინტერესდა აღნიშნულთან მიმართებით რა სამუშაოები მიმდინარეობს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში აღნიშნულ პროგრამაზე შემცირდა სტუდენტების მიღების რაოდენობა, შესაბამისად, ის დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რითი იყო ეს შემცირება განპირობებული?

დაწესებულებამ განმარტება გააკეთა პროგრამის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით, მისი თქმით, ისინი ციფრული ტექნიკით იწყებენ სტუდენტებთან ურთიერთობას. ციფრული ტექნოლოგების საუკუნეში, ციფრული გადაცემის, ციფრული მიღების საუკუნეში ეს რომ არ ისწავლებოდეს არ შეიძლება. როდესაც ტელეკომუნიკაციაზე არის საუბარი ეს ძალიან ბევრმა აღიქვა, როგორც ტელე ხედვა. სტუდენტების კონტიგუნტის შემცირებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სტუდენტი, რომელიც მოდის უნდა იცოდეს ტელეხედვა, მისი თქმით სახელის ცვლილება თითქოს მარკეტინგული სვლაც იყო, რომ მოეზიდათ სტუდენტები.

გიორგი ღალანიძემ დააზუსტა, ხომ არ შეიცავს მარკეტინგული სვლა სტუდენტის შეცდომაში შეყვანის ალბათობას? რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არავითარ შემთხვევაში. მისი თქმით, სტუდენტს ამჟამინდელი სახეწოდება უფრო მკაფიო წარმოდგენას შეუქმნის პროგრამაზე.

ტელეკომუნიკაცია დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ოთხ ვეშაპზე დგას ეს არის: ოპტიკა, ოპტიკური ტექნოლოგიები, მობილური, თანამედროვე ქსელები, აიტი ტექნოლოგია და რადიოტექნიკა. რადიოტექნიკა არის ძირითადი საკითხი, რომელიც უნდა იცოდეს სტუდენტმა, რაც არის კიდევ კონცენტრაციაში შეტანილი. მისი თქმით, მათ აქვთ ლაბორატორია ჭკვიან სისტემებზე, ასევე აქვთ სენსორული ქსელების ლაბორატორია, აიტის თანამედროვე ლაბორატორიები და ასევე ძველიც. პრინციპი არ შეცვლილა თუმცა ტექნოლოგია შეიცვალა. რაც შეეხება ლიტერატურას, მისი თქმით, ცხადია ინტენსიური მუშაობაა საჭირო რომ არ ჩამორჩეს დაწესებულება ტექნოლოგიების განვითარებას ტელეკომუნიკაციებში. წარმოდგენილი მიმართულება პრაქტიკულად ითვალისწინებს ყველაფერს, რაც სჭირდება თანამედროვე ბაზრის უზრუნველყოფას. პრაქტიკა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებელია რაც შეიძლება მძლავრად იყოს წარმოდგენილი. დაწესებულებას აქვს როგორც სასწავლო, ისე საწარმოო პრაქტიკა, რომელიც არსებობს კონცენტრაციების მიხედვით, რა მიმართულებასაც აირჩევს სტუდენტი, პრაქტიკაც იმ მიმართულებითაა უზრუნველყოფილი. ასევე, ამის ფორმალური მხარე უზრუნველყოფილია ხელშეკრულებებითა და მემორანდუმებით. მისი თქმით, ყოველდღიური კონტროლის ქვეშ არის ის, თუ რამდენად ხორციელდება თითოეული სტუდენტის პრაქტიკული კომპონენტი. მისი თქმით, პანდემიის პერიოდში ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა დაწესებულება, პრაქტიკულ მეცადინეობები ჰქონდათ ან შერეული სისტემით, ან მხოლოდ ონლაინ. როდესაც მიეცათ შესაძლებლობა პრაქტიკული კომპონენტი განხორციელებულიყო ადგილზე, ინტენსიურ რეჟიმში დაიწყო ყველაფერი. მისი თქმით გარკვეული პერიოდი დამატებულ იქნა იმისთვის, რომ პრაქტიკული კომპონენტი სრულყოფილად განხორციელებულიყო. რაც შეეხება ინგლისური ენის შესწავლას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რექტორმა მიუთითა უცხოური ენების დეპარტამენტს, რომ გადავიდნენ დარგობრივი ინგლისურის შესწავლაზე, ამას სჭირდება გარკვეული პერიოდი, ეს შეიძლება ვერც კი მოესწროს მომდევნო სასწავლო წლის პირველ სემესტრში ყველა მიმართულებაზე. დაწესებულება გაითვალისწინებს ყველა პროგრამაში დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე უცხო ენის შესწავლის აუცილებლობის საკითხს. მისი თქმით, დარგობრივ ინგლისურს ასწავლის დარგის სპეციალისტი და არა ინგლისური ენის სპეციალისტი.

საბჭოს წევრმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა: გამოდის რომ ეთნახმებით ინგლისურ ენასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას?

რაზედაც დაწესებულებამ განმარტა, რომ არ ეთანხმებიან. მისი თქმით, ვერცერთი საფეხური ვერ იქნება ყველა მიმართულებაში განუსაზღვრელი შესაძლებლობების მქონე. კრედიტები განაწილებულია იმგვარად, რომ დარგის სპეციალისტი ოპტიმალურ პირობებში შედგეს. პროგრამა უარუნველყოფს უცხო ენის შესწავლას, ამისთვის დათმობილია 10 კრედიტი. რაც შეეხება ლაბორატორიას, მისი თქმით დაწესებულებას გააჩნია სპეციფიური ლაბორატორიები, თუმცა ამ მიმართულებით კიდევ აქვთ დაგეგმილი სიახლეები. მისი თქმით, უცხო ენა არის კომპლექსური პრობლემა არა მხოლოდ სტუდენტებში, არამედ აკადემიურ პერსონალშიც, ეს პრობლემა იწყება სასკოლო განათლებიდან და გრძელდება უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით. ისინი რეკომენდაციის ჭრილში ვერ დაეთანხმებიან ამ ნაწილს. მისი თქმით, დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტები გადიან ნახევრად ინტენსიურ დამატებით ჯგუფებს. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, შრომის ბაზრის ანალიზი დაწესებულებას ჩატარებული აქვს, ისინი დაყერდნენ ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაკეთებულ წლიურ ანგარიშს, პლიუს დაწესებულებამ გამოიკვლია დამსაქმებლის ანალიზი, რომელიც მათი განმარტებით ტექნიკური პრობლემის გამო ვერ მოხვდა დოკუმენტაციაში. შრომის ბაზარი რა თქმა უნდა ითხოვს ტელეკომუნიკაციის სპეციალისტებს, ეს არაერთგზის არის ხაზგასმული. მისი თქმით, პროგრამის ძველი სახელწოდება ნამდვილად იყო „ტელეკომუნიკაციები“, რომელიც იყო ერთ - ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ბოლო პერიოდისთვის, თუმცა ამ მიმართულებით უკვე შინაარსობრივი თანხვედრა არის და ცვლილება მარკეტინგულადაც გამართლებულია. რაც შეეხება ბოლო ჩარიცხვებს, მისი თქმით, დაწესებულებამ გახსნა უფასო კურსები, სადაც ისინი აბიტურიენტებს სთავაზობენ ორ ბლოკად სასწავლო პროგრამას, მათემატიკა ქიმიით, მათემატიკა ფიზიკით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი მოსაზრებები „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტის განმარტებით, არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ რეკომენდაციების უმეტესობა გადავიდა რჩევებში. დარჩა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია. მისი თქმით, პროგრამის პოლიტიკიდან გამომდინარე არჩევითი საგნები განსაზღვრავენ სადოქტორო ნაშრომის ძირითად თემატიკას, მსგავსად სამაგისტრო პროგრამისა, მენეჯმენტის ბლოკით, სტუდენტი გადის არა პროგრამის შესაბამის კვალიფიკაციაზე, არამედ უკვე მიდის მენეჯმენტის მიმართულებით. სადოქტორო პროგრამაში ორი საგანი „სატელეკომუნიკაციო კომპანიათა ეკონომიკური ანალიზის მეთოდები“ და „სატელეკომუნიკაციო კომპანიათა მართვის თავისებურებები“ აქცენტს აკეთებს მენეჯმენტის მიმართულებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებას აქვს განსხვავებული ხედვა. მისი თქმით, სტუდენტს ამ ორი საგნიდან შეუძლია აირჩიოს მხოლოდ ერთი, რომელიც არის ხუთკრედიტიანი. მისი თქმით, არსებობს ბევრი კვლევა და დამსაქმებლების მოწოდებაა, რომ კურსდამათავრებულებს ჰქონდეთ ცოდნა და კომპეტენციები ისეთ საკითხებში, რომლებიც პირდაპირ მის სპეციალობასთან არ არის დაკავშირებული, სწორედ ეს საკითხებია ეკონომიკა, მენეჯმენტი და ა. შ. მისი თქმით, უფრო და უფრო მეტი მოთხოვნაა ბაზარზე, რომ სპეციალისტს გარდა თავისი ძირითადი სპეციალობისა ჰქონდეს უფრო მეტი ცოდნა სხვა მიმართულებით. ორი საგანი, რომლიდანაც ერთის არჩევაა შესაძლებელი, კურსდამთავრებულს აძლევს კონკურენტულ უპირატესობას. კურსდამთავრებული მოითხოვს, რომ მათ ასწავლონ ისეთი საგნები რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას იყვნენ არა მხოლოდ დასაქმებულები, არამედ არამედ თავად იყოს დამსაქმებელი. ყველა სტუდენტი ცდილობს წარმოიწყოს თავის საქმე, ამისათვის მას გარდა თავისი საქმიანობისა სჭირდება ის უნარჩვევები, როგორიცაა მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების მიმართულებით. აქედან გამომდინარე ინსტიტუცია ფიქრობს, რომ ეს ორი საგანი

აძლევს კონკურენტულ უპირატესობას დოქტორანტს, მათთან შედარებით ვისაც ესეთი ცოდნა არ ექნება. სწორედ ეს არის მოტივაცია, რომ ეს ორი საგანი დარჩეს პროგრამაში. ეს საგნები არის მეორე სემესტრში არჩევით საგანთა ჯგუფში. მისი თქმით, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამებში საკმაოდ გართულებულია მიღების წინაპირობები, ისინი აპლიკანტს სთხოვენ წარმოადგინონ კვლევითი პროექტი, აქედან დაწესებულება ადასტურებს, რომ დოქტორანტი, არა მეორე სემესტრში ირჩევს კვლევის მიმართულებას, არამედ როდესაც ის შემოდის, დასაწყისშივე მას უკვე განსაზღვრული აქვს რა მიმართულებით უნდა აწარმოოს კვლევა, ამ შემთხვევაში ეს არჩევითი საგნები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხარდამჭერი სასწავლო კურსები, რომელმაც შეიძლება გააფართოვოს მისი თვალთახედვა.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, ის დაინტერესდა უკვე გაცემული რეკომენდაციები იმიტომ გდავიდა რცევებში, რომ დაწესებულებამ შეასრულა? ვიზიტის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები ხომ არ მიიღება მხედველობაში.

საბჭოს წევრმა ასევე ყურადღება გაამახვილა რჩევაზე „მნიშვნელოვანია სადისერტაციო ნაშრომები გაფორმდეს მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით - იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვ. აღნიშნულის მიღწევას ხელს შეუწყობს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლება სამეცნიერო ბაზების და ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ“ ის დაინტერესდა, როცა ექსპერტებმა ნახეს სადოქტორო ნაშრომები, აკმაყოფილებდა თუ არა კრიტერიუმებს, თუ ეს საკითხი პროგრამის განვითარების მიზნით დაისვა.

საბჭოს წევრმა კიდევ ერთი კითხვა დასვა სადოქტორო ნაშრომებზე, მისი თქმით, დაწებულებამ იმსჯელა ეკონომიკის კომპონენტის არარელევანტურობაზე, როგორც მან აღნიშნა, სადოქტორო ნაშრომების კვლევის თემატიკა პირდაპირ კვალიფიკაციასთან უნდა იყოს შესაბამისი, ის დაინტერესდა სადოქტორო ნაშრომებში, კვლევის თემატიკებში იგრძნობოდა თუ არა ეკონომიკის მეტი გავლენა.

საბჭოს წევრის განმარტებით, პროგრამას სჭირდება შრომის ბაზრის სპეციფიური შესწავლა, რადგან სწორედ შრომის ბაზარი არის სპეციფიური. მისი თქმით, პროგრამის განვითარებისთვის მითითებულია 6427 ლარი. ის დაინტერესდა ეს თანხა საკმარისი არის თუ არა პროგრამის განვითარებისთვის, თუ მისი თქმით, ეს არის ის, რაც უშუალოდ დარჩა პროგრამიდან და შემდგომ ამას ემატება გარკვეული თანხა. ასევე მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ სადისერტაციო ნაშრომში წერია შიფრი 0402, რომელიც არ შესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდს. 04 ეს არის ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ „სატელეკომუნიკაციო კომპანიათა ეკონომიკური ანალიზის მეთოდები“ და „სატელეკომუნიკაციო კომპანიათა მართვის თავისებურებები“ საგნები სტუდენტს დიდს ვერაფერს შეძენენ, მისი თქმით, ის რაშიც იხარჯება 9 წელიწადი და ჯამურად 240 პლიუს 120 და პლიუს 50 კრედიტი ორ საგანში გავლა რთულად წარმოსადგენია.

საბჭოს წევრის განმარტებით, 0402 სწორედაც ტელეკომუნიკაციაა, უბრალოდ ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად არის ძველ დისერტაციებში ასახული. ასევე ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამა არ შეცლილა და ძველი კვალიფიკაციის მიხედვით არის მინჭებული.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ რჩევებში არის დოქტორანტის წამოყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით ერთ-ერთი რჩევა „შეიცვალოს მოთხოვნა თანავტორის გარეშე სტატიის გამოქვეყნების შესახებ“ მისი განმარტებით ეს დარგის სპეციფიკაზეა დამოკიდებული, არის

დარგები სადაც სტუდენტი ნამდვილად შეძლებს გამოქვეყნებას დამოუკიდებლად, თუმცა არის ისეთი დარგებიც, სადაც ეს შეუძლებელია. თუ ამას მოვითხოვთ, ხომ არ არის აუცილებელი დაკონკრეტდეს, რომ ასეთ შემთხვევაში თუ თანაავტორობის გარეშე არ იქნება გამოქვეყნება აუცილებელი იყოს გამოქვეყნებული სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში.

საბჭოს წევრის განმარტებით, რიგ დისერტაციებში, სადაც წარმოდგენილია სადოქტორო ნაშრომისთვის გამოყენებული ოსტერატურის სია, ნაკლებად შეეფერება სადოქტორო ნაშრომს. ზოგიერთ ნაშრომში პრობლემატიკა, რომელიც სათაურში არის გამოტანილი, რომ ყოფილიყო ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით არ დაებადებოდა შეკითხვა, თუმცა იყო სახელწოდება რომელიც თითქოს სიახლეს არ უნდა შეიცავდეს, მაგალითად, მეოთხე თაობის მობილური კავშირის რადიოქსელში ხმის გადაცემის საკითხების გამოკვლევა და დამუშავება.

საბჭოს წევრმა კითხვა დასვა ხელმძღვანელის ფუნქციებთან დაკავშირებით, მისი თქმით თემის ხელმძღვანელის ფუნქციების დარეგულირება სადოქტორო პროგრამაში საკმაოდ მნიშვნელოვანია, შესაბამისად ის დაინტერესდა აღნიშნული რატომ არ იყო რეკომენდაციის ფორმით გამოხატული.

ექსპერტმა კიდევ ერთელ განმარტა, რომ მისი პროფესია არ არის ტელეკომუნიკაციები, ამიტომ თემატურად სადისერტაციო ნაშრომზე რაიმე სახის განმარტებისგან თავს შეიკავებს. მისი თქმით, ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარეობს მძლავრი რეფორმები. ის რაც ექსპერტებმა ნახეს იყო სხვა დებულდების თანახმად გაფორმებული ნაშრომები, ამჟამად კი მოთხოვნები სადისერტაციო თემის შერჩევის პროცედურებთან საკმაოდ არის შეცვლილი, ვინაიდან ახალ დებულებებში ეს ყველაფერი უკვე გათვალისწინებულია. მისი თქმით, რადგან ახალი დებულება ოფიციალურად უკვე დამტკიცებულია ვალდებულები არიან მიყვნენ დებულების მოთხოვნებს. რაც შეეხება სტატიის გამოქვეყნებას, მისი თქმით, მოთხოვნები გამკაცრებულია, ის მოთხოვნები რაც ადრე იყო შეცვლილია, შესაბამისად დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ტექნიკური მიმართულებით მას ნაკლებად წარმოდუგენია ადამიანმა თანაავტორობის გარეშე გააკეთოს ნაშრომი.

ექსპერტმა ხელმძღვანელებთან დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უფლება მოვალეობები გაწერილია დოკუმენტებში, რომელიც მომავალში უკვე ამუშავდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რჩევა ხელმძღვანელის ფუნქციებთან დაკავშირებით იმიტომ გაჩნდა, რომ ბველი რედაქციის დებულებაში იყო ტექნიკური ხარვეზი. ხელმძღვანელის ფუნქციებიმ გაწერილი იყო, თუმცა არ იყო მითითება რომ ეს ყველაფერი ხელმძღვანელის ფუნქცია იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრის, გიორგი ღალანიძის მითითება შრიმის ბაზართან დაკავშირებით მართლზომიერად შეაფასეს. თუმცა რაც შეეხება დოკუმენტაციას, ამას დაწესებულება აკეთებს, ასევე დაწესებულებას აქვს არაერთი სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომელიც შემხებლობაშია ამ მიმართულებასთან. ასევე აქვთ თანამშრომლობა ყველა მოქმედ ოპერატორთან და სუბიექტთან შრომის ბაზარზე. რაც შეეხება ბიუჯეტში დაფიქსირებულ 6427 ლარს, მისი თქმით, ეს არის უშუალოდ პროგრამის ბიუჯეტიდან, ანუ ეს პროგრამა თვითკმარი ვერ არის, საბოლოო ჯამში სამეცნიერო ხელმძღვანელობის ფინანსური უზრუნველყოფა კეთდება ცენტრალური ბიუჯეტიდან და ამან განაპირობა, რომ დარჩა აღნიშნული თანხა, სხვა შემთხვევაში მინუს იმდენი 2800 ლარი იქნებოდა რამდენი სტუდენტიც ჰყავს. თუ დოკტორანტს სჭირდება სამეცნიერო ბაზებზე წვდომა მას ამის შესაძლებლობა ნამდვილად აქვს, და თუ მას კვლევების განხორციელება დასჭირდა, ესეც უზრუნველყოფილია ლაბორატორიებით და ტექნიკური საშუალებებით. თუ პროფესორის სჭირდება მივლინება, უზრუნველყოფილია თავისი პროცედურებით. უნივერსიტეტი გამოყოფს თანხას და გარკვეულ პროექტს აფინანსებს დოკტორანტთავის,

სურვილია იყოს მათი მაქსიმალური ჩართულობა, ეს მიმართულება უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ბიუჯეტით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ არ აქვთ პრეტენზია იმ ორი არცევითი საგნით სტუდენტებს გახდიან მენეჯერებს, ან განსაკუთრებული სპეციალური უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტებს, დაწესებულებამ გაითვალისწინა, რომ დოქტორანტი გარკვეული ცოდნითა და უნარებით მოდის, ამ სასწავლო კურსების განხორციელების შედეგად მათ არცერთ კვლევას დაუფიქსირებია, რომ ან თემატიკის ათვისება არის შეუძლებელი ან არის რაიმე შეუსაბამობები სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს არის არჩევითი სამიზნე კურსი, რომელიც სტუდენტს უშუალოდ თავის სპეციფიკას აცნობს ტელეკომუნიკაციის მიმართულებით და სძენს გარკვეულ ცოდნას, რომელსაც ან გამოიყენებს ან ვერა. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ეს გავლენას ვერ იქონიებს დოქტორანტის საბოლოო კვალიფიკაციაზე.

საბჭოს წევრის თქმით, ამ პროგრამაში ისევ ის სილაბუსია, რომელთან დაკავშირებითაც არაერთხელ გამოითქვა რჩევა ან რეკომენდაცია, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს რომ ამოღებულ იქნეს განათლების მენეჯმენტის საკითხები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:39

დასრულების დრო: 18:07

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, თუმცა საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/გადაიტანა რჩევებში, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია გაძლიერდეს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედგების გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მომქმედი კანონმდებლობის თანახმად;
4. დაემატოს პროგრამას საგნები: დაპროგრამების მაღალი დონის რომელიმე ენა - C, C++, Java ან სხვა; ოპერაციული სისტემები; ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები; კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია;
5. დაემატოს ინგლისური ენის სწავლება, როგორც სავალდებულო კომპონენტი (მათ შორი ტექნიკური ინგლისური);
6. შემუშავდეს სწავლის შედეგების რუკა ძირითადი დარგობრივი საგნების სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
7. დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში;
8. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები:

1. მოხდეს მსგავსი შინაარსის და შედეგების საგნების კომპაქტურად წარმოდგენა და საინფორმაციო და საკომუნიმაციო ტექნოლოგიების მიმართულების საგნების დამატება;
2. დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
3. უშუალოდ პროგრამაში განთავსდეს იმ ბმულების მისამართები, სადაც მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ;
4. შემცირდეს არჩევითი საგნების რაოდენობა;
5. განახლდეს სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები);
6. სილაბუსებში ყოველი თემის შესაბამისად მიეთითოს სახელმძღვანელო და გვერდები;
7. სტუდენტთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარებისათვის სპეციალობის საგნებში სიმულაციური ლაბორატორიულების პარალელურად უნდა გამოინახოს საშუალებები თუნდაც რამოდენიმე საგნობრივი ექსპერიმენტის ჩასატარებლად რეალურ ობიექტებზე;
8. ყველა საგანში, რომელიც შეფასების კომპონენტად მოიცავს პროეტის შეფასებას, გაიწეროს პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები;
9. დაწესებულებამ/ფაკულტეტმა სასურველია უწყვეტ რეჟიმში აწარმოოს სტუდენტთა მიერ გაცვლით პროგრამებსა თუ ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში/პროექტებში ჩართულობის მონიტორინგი და ანალიზი (როგორც პროგრამის შედეგებისათვის შეფასების ერთ-ერთი არაპირდაპირი მექანიზმი), მიღებული შედეგების საფუძველზე შეიმუშაოს ამ მაჩვენებელთა გაუმჯობესების ღონისძიებები;
10. სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება საკონსულტაციო განრიგის შესახებ ფაკულტეტის საინფორმაციო დაფების გამოყენების პარალელურად უნდა განხორციელდეს ელექტრონულადაც ფაკულტეტის ვებ-გვერდის <https://gtu.ge/pet/Students/> მეშვეობით;
11. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაინტერესებულ მხარეებს აცნობოს შესაბამისი გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენების გეგმა;
12. დარგში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სასწავლო პროცესში დარგის მოქმედი სპეციალისტების ჩართვა მოწვეული პედაგოგის სტატუსით;
13. მეტი მუშაობაა საჭირო სასწავლო პროცესში ახალგაზრდა კადრების ჩასართავად, გასაძლიერებელია აგრეთვე პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა;
14. პროგრამაში მოცემულ შედეგებზე გასვლა და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად შეუძლებელია მოძველებული ლაბორატორიული სტენდების/მოწყობილობების განახლების გარეშე;
15. დამსაქმებელთა და სტუდენტთა შორის უწყვეტი ორმხირივი კავშირისა და ინფორმაციის დროული/სწრაფი მიმოცვლის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია შეიქმნას პორტფოლიოების (დამსაქმებელთა მოთხობნების გათვალისწინებით) ერთიანი ბაზა და დაიგეგმოს სხვა დამხმარე ღონისძიებები;
16. პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ თავისუფალი წვდომა უნივერსიტეტის მეცხრე კორპუსში განთავსებულ ლაბორატორიებზე, რომლებიც დაკომპლექტებულია National Instruments-ის თანამედროვე სასწავლო პარატურით;
17. სასურველია მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა, ცალკეული სილაბუსების განახლებისათვის აუცილებელ ცვლილებათა დაუბრკოლებლად ასახვასთან დაკავშირებით;
18. სასურველია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის;

19. სასურველია მოხდეს საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა და გამოკითხვების დაგეგმვა-განხორციელება, ასევე სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა გამოკითხვებში მათი მონაწილეობის აუცილებლობასა და ანონიმურობის დაცვაზე;
20. • სასურველია უზრუნველყოფილ იქნას გამოკითხვების შედეგების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, თუმცა რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ გადაიტანა რჩევებში.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება.

ოჩევები:

1. ამოღებულ იქნას პროგრამიდან საგნები „სატელეკომუნიკაციო კომპანიათა ეკონომიკური ანალიზის მეთოდები“ და „სატელეკომუნიკაციო კომპანიათა მართვის თავისებურებები“;
2. სასურველია სწავლების მეთოდებისა და განათლების მენეჯმენტის სასწავლო კურსის სილაბუსი გასწორდეს და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანსა და შინაარსთან;
3. მიღების პირობებში განისაზღვროს სპეციალობის ფართო სფერო, რომელიც უნდა დაკმაყოფილოს აპლიკაცია განათლების წინა ორი საფეხურიდან ერთ-ერთზე ან დაემატოს მოთხოვნა დარგში პრაქტიკული გამოცდილების შესახებ;
4. შეიცვალოს მოთხოვნა თანაავტორის გარეშე სტატიის გამოქვეყნების შესახებ;
5. მიზანშეწონილია სტუდენტებს საკონსულტაციო განრიგის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოთ არამარტო ფაკულტეტზე არსებული საინფორმაციო დაფების გამოყენებით, არამედ ელექტრონულადაც, კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ვებ-გვერდზე „სასწავლო ცხრილებში“ (იხ. ბმული: <https://gtu.ge/pet/Students/>);
6. მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში;
7. მიზანშეწონილია დეტალურად გაიწეროს დისერტაციაზე მუშაობის პროცესში თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის პროცედურები, მაგალითად კონსულტაციები. ასევე, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ჩამოყალიბდეს ერთიანი მთლიანი მუხლის ფარგლებში;
8. მნიშვნელოვანია სადისერტაციო ნაშრომები გაფორმდეს მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით - იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაფრი დაცვა და სხვ. აღნიშნულის მიღწევას ხელს შეუწყობს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლება სამეცნიერო ბაზების და ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ;
9. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაინტერესებულ მხარეებს აცნობოს შესაბამისი გამოკითხვის შედეგები და მიღებული შედეგების გამოყენების გეგმა;
10. სასურველია შეიქმნას როგორც დამსაქმებელთა ისე სტუდენტთა პორტფოლიოების (დამსაქმებელთა მოთხობნების გათვალისწინებით) ერთიანი ბაზა, მათ შორის ორმხრივი და უწყვეტი კავშირის დასამყარებლად. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ინფორმაციის დროულ და სწრაფ მიმოსვლას ორივე მხარეს შორის. შესაძლებელია, დაიგეგმოს შესაბამისი დამხმარე ღონისძიებებიც;
11. გასაძლიერებელია პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების პროექტებში (Erasmus+, Tempus) ჩართულობა და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობა;
12. სასურველია, მოხდეს სტუდენტების მეტად ინფორმირებულობა გამოკითხვებში მათი მონაწილეობის აუცილებლობაზე და ანონიმურობის დაცვაზე;
13. სასურველია უზრუნველყოფილ იქნას გამოკითხვების შედეგების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის;
14. სასურველია მოხდეს საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა და გამოკითხვების დაგეგმვა-განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:**მომხრე - 12****წინააღმდეგი - 0****გადაწყვეტილება:**

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N522 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქიმია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0531 ქიმია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 69, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 2, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომას შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე.

სხდომა დატოვა თამარ ჩხეიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტის განმარტებით, ვიზიტი ტექნიკურ უნივერსიტეტში ქიმიის სადოქტორო პროგრამის შესაფასებლად განხორციელდა 7-8 აპრილს, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შეფასება ერთდროულად განხორციელდა. შესაბამისად ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები განხორციელდა, როგორც პროგრამის განმახროციელებელ პერსონალთან, ასევე ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ვიზიტი კონსტრუქციულ ატმოსფეროში ჩატარდა, ყველა ის დოკუმენტი იქნა მიღებული რაც ექსპერტებმა გამოითხოვეს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთერთი რეკომენდაცია ეხება 1.2 კომპონენტს, ეს არის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის საკითხი თითოეული სწავლის შედეგისთვის, ამ შემთხვევაში დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლის შეფასების მექანიზმი და ასევე შეფასების გეგმა, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებაში სამიზნე ნიშნული არ იყო მოცემულუ. შემდეგი რეკომენდაცია ეხება 2.2 კომპონენტს, პროგრამის განმახროციელებელმა პერსონალმა განიხილოს ძირითადი სპეციალობის ქიმიის მიმართულების სასწავლო კურსების სავალდებულოდან არჩევით საგნებში გადატანა და არჩევითი საგნების სპექტრის გაზრდა, რათა დოქტორანტს ჰქონდეს თავის კვლევით სფეროში ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა. მისი თქმით, ამ შემთხვევაში რამდენიმე სასწავლო კურსთან იყო რეკომენდაცია, მაგალითად ფიზიკური ქიმიის თეორიული ასპექტები, ნივთიერებათა ანალიზი, თანამედროვე ასპექტები და ა.შ.რომელთა გადატანა არჩევით სასწავლო კურსებში დოქტორანტისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა, რადგან ზოგადად ეს კურსები ფარავს ძალიან მნიშვნელოვან პირველ და მეორე საფეხურზე ათვისებული სასწავლო კრუსების გარკვეულ საკითხებს. რეკომენდაცია 2.3 კომპონენტთან მიმართებით ეხება ორი სასწავლო კურსის, სწავლების მეთოდები და სამეცნიერო კომუნიკაციების ტექნიკის კრედიტების რაოდენობის საკონტაქტო საათების გადახედვას და მათ შესაბამისობაში მოყვანას უშუალოდ პროგრამის შედეგებთან. მეორე რეკომენდაცია ამ კურსებში იყო რამდენიმე სასწავლო კურსის 1) ფიზიკური ქიმიის თანამედროვე წარმოდგენები არაორგანულ ქიმიაზე, 2) ორგანულ რეაქციათა პრინციპები და მექანიზმები, 3) ფიზიკური ქიმიის თეორიული ასპექტები, შინაარსის გადახედვას, ვინაიდან არ მოხდეს ისეთი საკითხების სწავლება, რომელიც უკვე არის ბრმად ნასწავლი პირველ და მეორე საფეხურზე. 2.5 კომპონენტთან მიმართებით არსებულ რეკომენდაციაში, სასწავლო კურსების სწავლა სწავლების მეთოდების გადახედვა მესამე საფეხურთან შესაბამისობის მიზნით, იგულისხმება ძირითადი სწავლის შესრულება შესაბმისი სასწავლო კურსების ლექცია/სემინარების ფორმატის

წარმართვისათვის. ექსპერტები ფიქრობენ რომ ამ საფეხურზე უნდა მოხდეს ასეთი საკითხების გარჩევა დოქტორანტთან. 2.6 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია ეხება პროფესორის ასისტენტობის სილაბუსს, დანართით გათვალისწინებული შეფასების ფორმები იყო განსხვავებული, აյ იყო კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეხებოდა ლექცია სემინარზე დასწრების შეფასების საკითხს.

3.2 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია დამატებით 2 კომპონენტში სხვადასხვა სახით არის ჩამოყალიბებული : გადაიხედოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები და დაემატოს მას Scopus-ისა და Web of Science-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ხილვადი ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 2 ან 3 პუბლიკაცია, სადოქტორო თემის მიმართულებით. თუ 3.2 კომპონენტში იყო ხელმძღვანელის წაყენებულ მოთხოვნებთან მიმართებით, 4.1 კომპონენტთან მიმართებით სახეზეა აკადემიურ პერსონალისადმი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისთვის დამატება, როგორიც არის ესეთ ბაზებში სტატიების გამოქვეყნება. 4.3 კომპონენტთან მიმართებით არსებული რეკომენდაცია ეხება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კორპუსში განთავსებული ლაბორატორიების გაუმჯობესების საკითხს, მათ შორის ხილული სპექტროფოტომეტრების შესყიდვას უახლოეს მომავალში. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების კონკრეტული გეგმა, შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მითითებით. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულება იყენებს რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტის ბაზას, ეს არის აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, უშუალოდ უნივერსიტეტისთვის ბაზის გაუმჯობესება სადოქტორო პროგამისათვის არის მნიშვნელოვანი. ასევე რეკომენდაცია ეხება ფინანსური რესურსის განსაზღვრას კვლევების გაუმჯობესების მიმართულებით. 5.1 სტანდარტთან მიმართებით არსებული რეკომენდაცია ეხება პროგრამის შიდა შეფასებისას კომპლექსური მიდგომების გამოყენებას, ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტს აქვს პროგრესი, თუმცა პროგრამის ფარგლებში გასაუმჯობესებელ მხარეებთან მიმართებაში იყო ნაკლები აქცენტი გაკეთებული სწორედ აქედან გამომდინარე გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია. მისი თქმით, მხოლოდ ორი გასაუმჯობესებელი მხარე იყო ინდენტიფიცირებული და მას კი მიაჩნია, რომ კრიტიკა თვითშეფასებაში იქნება ძალიან მნიშვნელოვანი კონკრეტულად ამ პროგრამის განვითარებისათვის. მისი თქმით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ანალოგი პროგრამების სწორი იდენტიფიცირება და პერიოდული დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. ეს არის ძირითადი რეკომენდაციები რომელიც გასცა ექსპერტთა ჯგუფმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ მათი პოზიციები

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხება სამიზნე ნიშნულებს, მისი თქმით, მათ სამიზნე ნიშნულები გაწერილი აქვთ, უბრალოდ გაწერილია სხვა ფორმით, მათ წარმოდგენილი აქვთ სწავლის შეფასების შედეგების მექანიზმი, რომელშიც გაწერილია თუ რომელი სასწავლო კურსი რა კატეგორიით უზრუნველყოფს სწავლის შედეგს, ასევე გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც ნაჩვენებია ის საერთო სამიზნე ნიშნულები, რომლებსაც ადარებენ მიღებულ სწავლის შედეგებს. შესაბამისად სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები არის, უბრალოდ წარმოდგენილია სხვა ფორმით. მისი თქმით, როდესაც საუბარია არჩევით საგნებზე, პროგრამაში არის 6 არჩევითი სასწავლო კურსი, რომელიც პრაქტიკულად ფარავს ყველა იმ სფეროს რომელზეც მუშაობენ პროფესორები. თუმცა ისინი აღნიშნულ რეკომენდაციას გაითვალისწინებენ.

დაწესებულებამ ასევე განმარტა, რომ თვითონაც ხედავენ მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საჭიროებას, აგრეთვე ენობრივი კომპეტენციის საჭიროებას აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში. უნივერსიტეტი შეზღუდული იყო შიდა სამზარეულო გაეხადათ

საჯარო. დღეს კი ყველა პრობლემური მიმართულება ამოტივტივებულია, მათ სურთ მსხვილად წარმოადგინონ საკითხები. ამ ყველაფერზე დაწესებულება ზრუნავს და ეს მიმართულება ამ ფაკულტეტთან მიმართებაში ბოლო 2 წლის განმავლობაში არის რადიკალურად გაუმჯობესებული. მეორე კორპუსის ინფრასტრუქტურა და ბაზების გაძლიერება არის ერთ-ერთი პროექტული ურთიერთობა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამა მუშაობს არა მხოლოდ მატერიალურ ტექნიკური ბაზით, მისი თქმით, მათ ძალიან დიდი დახმარებას უწევს განათლების სამინისტროს გრანტის ფარგლებში, გრანტის საფუძველზე შექმნილი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც არის მხოლოდ და მხოლოდ დოქტორანტებისათვის. მან ასევე ყურადღება გაამახვილა პროგრამის ინტენრაციონალიზაციის კუთხით სიძლიერეზე, მისი თქმით, მათ დოქტორანტებს ასევე შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საკმაოდ კარგად აღჭურვილი ლაბორატორიებით. როგორც მან აღნიშნა, ეს პროგრამა ტექნიკურ უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი ხანია გააჩნია, რომელმაც აღზარდა არაერთი მეცნიერი და სპეციალისტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრი დაინტერესდა კურსების გადაფარვასთან დაკავშირებით, მან კითხვით მიმართა ექსპერტს, კურსები მსგავსი იყო თემატიკების მიხედვით, თუ იყო ისეთი ლიტერატურა, რომელიც მეორდება პირველ და მეორე საფეხურზე.

ასევე საბჭოს წევრი დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო მეხუთე რეკომენდაციის „სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისათვის გაიწეროს კონკრეტული აქტივობები, როგორც პროგრამის ფარგლებში, ისე კურსუკულუმს გარეთ აქტივობებთან მიმართებით.“ გაცემის საფუძველი.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, დოქტორანტის ხელმძღვანელმა რომ შექმნას რაიმე ღირებული შრომა, მისთვის მაინც სავალდებულო იქნება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ორი ან სამი პუბლიკაციის გამოქვეყნება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, დოქტორანტს თუ აქვს შესაძლებლობა რომ გამოიყენოს ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სპექტრომეტრები ამავე ინსტიტუციაში შემავალ კვლევით ინსტიტუტებში?

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, მათი აზრით გაცემული რეკომენდაციების შესრულებას რამდენი დრო სჭირდება.

საბჭოს წევრი დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება კვლევითი ბიუჯეტის განსაზღვრა როცა ხდება დოქტორანტის მიღება, ხდება თუ არა გათვლა? ან როგორ ხდება აღნიშვნა თუ სად გააკეთებს კვლევას? როგორ ისაზღვრება ეს თემა ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ დოქტორანტების ხელმძღვანელებთან დაკავშირებული რეკომენდაცია, როგორც მან აღნიშნა, სადოქტორო პროგრამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სამეცნიერო ხელმძღვანელების კვლევითი პოტენციალი და მათ მიერ რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დინამიკა.

საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის თქმით, სწავლის შედეგები, რომელიც ერთ - ერთ სილაბუსშია გაწერილი შეუსაბამობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან, მაგალითად პროგრამის სწავლის შედეგი 2 და 4, მექანიკურად არის გადმოტანილი სილაბუსში, თუმცა სილაბუსი შინაარსს საერთოდ არ შეესაბამება, მისი თქმით, პროგრამის მეხუთე სწავლის შედეგი, რომელიც უფრო რელევანტური შეიძლება იყოს, არ არის სილაბუსში ასახული, თუმცა იმ რუბრიკაში რომელიც დანართად ახლავს პროგრამას და სადაც შესაბამისობა უნდა დადგინდეს, იქ მაინცდამაინც სწორედ პროგრამის მეხუთე, მეცხრე და მეათე სწავლის შედეგების გასვლას უწყობს ხელს. მან მოუწოდა დაწესებულებას ყურადღება მიაქციონ მსგავს შეუსაბამობებს.

საბჭოს წევრის, გიორგი ღალაძის თქმით, კვლევის ფარგლებში სამი დამსაქმებელია გამოკითხული, რაც არარელევანტურია, პროგრამას სჭირდება შრომის ბაზრის გაცილებით სიღრმისეული კვლევა. მისი თქმით, პროგრამის ბიუჯეტი არ ნიშნავს, რომ შემოსავალი ფარავს ხარჯებს, ბიუჯეტი არის ის, რომ არის ხარჯები, რაღაც შემოსავალი და შემდგომ წყაროს მითითება თუ საიდან იფარება აღნიშნული.

საბჭოს წევრმა რეკომენდაციასთან „პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განიხილოს მირითადი სპეციალობის ქიმიის მიმართულების სასწავლო კურსების სავალდებულოდან არჩევით საგნებში გადატანა და არჩევითი საგნების სპექტრის გაზრდა, რათა დოქტორანტს ჰქონდეს თავის კვლევით სფეროში ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო საფეხური ყველა მიმართულებებს უნდა მოიცავდეს, თუმცა სადოქტორო პროგრამაზე ინტიტუციამ ის მიმართულება უნდა გააკეთოს, რაც მან იცის და რისი გაკეთებაც შეუძლია. ასევე მან დაამატა შეკითხვა, სამივე სტატია Web of Science-ში და scopus-ში უნდა გამოქვეყნდეს, თუ ერთიც საკმარისია.

ექსპერტმა კითხვას, რამდენი დრო სჭირდებოდა დაწესებულებას რეკომენდაციების შესასრულებლად უპასუხა, რომ 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდი საკმარისია, მითუმეტეს, რომ დაწესებულება ეთანხმება რეკომენდაციების მირითადი ნაწილს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.2. სტანდარტთან არსებული რეკომენდაცია გამომდინარეობდა იქედან, რომ პირველ საფეხურზე საჭიროა ფართო ცოდნის მიღება, მეორე საფეხურზეა ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემა, ხოლო დოქტორანტურაზე სტუდენტს ეს ცოდნა უკვე შეძენილი აქვს და ამის დასტურია კურსის სილაბუსების საკითხების გადაფარვები. არგუმენტი დაწესებულების მხრიდან ამ საკითხზე იყო ის, რომ არიან დოქტორანტები, რომლებმაც ადრე დაასრულეს უნივერსიტეტი და სამაგისტრო საფეხურზე ეს საკითხები არ ახსოვდათ, ან არ ჰქონდათ ღრმად შესწავლილი ან სხვა სპეციალობიდან მოდიან. ექსპერტების მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია განპირობებული იყო იმით, რომ არჩევითი სახით ყოფილიყო ასეთი კურსები შეთავაზებული. მრავალფეროვანი არჩევითობა კვლევითი მიმართულებით იქნებოდა პროგრამისთვის ძალიან მნიშვნელოვანი. რაც შეეხება შეკითხვას, პრაქტიკული უნარების განვითარებასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია ეხებაიმ საკითხს, რომ სასწავლო კურსები ძირითადად მოიცავდა სალექციო და სასემინარო მუშაობას პრაქტიკული კომპონენტის განვითარებასთან მიმართებაში. ძალიან მნიშვნელოვანია დოქტორანტებისთვის საერთაშორისო დონეზე აქტივობების გაზრდა კონფერენციებთან მიმართებით. თვითშეფასების ანგარიშში მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით აკადემიურ პერსონალს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს 480 პუბლიკაცია და აქედან 25 საერთაშორისო ჟურნალშია გამოქვეყნებული. რაც შეეხება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ხელმძღვანელისათვის, ექსპერტების რეკომენდაციაა ბოლო 5 წლის განმავლობაში ორი სამი სტატია მაინც ჰქონდეს გამოქვეყნებული, ვინაიდან, ეს დარგის სპეციფიკისთვისაა ძალიან მნიშვნელოვანი. რეკომენდაცია იყო ასევე, რომ სწორედ ისეთი პერსონალის ხელმძღვანელობის საკითხი განიხილოს პროგრამამ ვისაც ეს მაჩვენებლები აქვს მაღალი. ექსპერტმა დაამატა ისიც, რომ დაწესებულებას ჰყავს ისეთი პერსონალი, რომლებსაც ასეთ დონეზე ხელმძღვანელობა შეუძლიათ. რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე კვლევითი

ინსტიტუტი არ არის ტექნიკური უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში, მაგალითად აგლამის უნივერსიტეტი. აქედან გამომდინარე არსებობს რეკომენდაცია, რომ სტუდენტებს გარკვეული უნარების მიღების შესაძლებლობა ჰქონოდათ ადგილზე. დოქტორანტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს, ძირითადად დოქტორანტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ ხელმძღვანელებისგან იღებდნენ ძირიტად წყაროებს, რომლებითაც სადოქტორო ნაშრომზე მუშაობდნენ.

საბჭოს წევრი დაინტერესდა სიახლე, ჩატარებული მეთოდოლოგია და დასკვნები როგორი დონისაა? რაზედაც ექსპერტმა განმარტა, რომ არის კარგი მონაცემები და შედეგები, თუმცა არის ნაშრომები რომლებიც მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

საბჭოს წევრმა დააზუსტა კითხვა გამოსაქვეყნებელი სტატიების რაოდენობასთან დაკავშირებით რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ რეკომენდაცია ეხება რაოდენობრივი მაჩვენებლის ხარისხობრივში გადასვლას, რაც გულისხმობს იმას, რომ უმჯობესია იყოს ერთი სტატია და მაღალი დონის ბაზებში გამოქვეყნებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო პერსონალი საკმაოდ აქტირუად არის ჩართული სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, დღეს არის კონკრეტული მოთხოვნა პროფესორთან მიმართებაში 4 წლის განმავლობაში ირჩევა პროფესორი დაახლოებით უკვე 2 თვეში ახალი კონკურსის შედეგები იქნება და პროფესორს აქვს გარკვეული ვალდებულება 4 წლის განმავლობაში არაერთგზის გამოაქვეყნოს სტატია. ხარისხის სამსახურს აღნიშნულზე კონტროლის მექანიზმიც აქვს, ასევე არის მოთხოვნა რომ იმავე პროფესორმა ყოველ ორ წელიწადში სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენციაში მიიღოს მონაწილეობა. 4 წლის განმავლობაში გამოაქვეყნოს 1 სამეცნიერო წიგნი ან კრებული, ასევე მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტში. ძალიან კონკრეტული მოთხოვნები დაწესდა ასოცირებულ პროფესორებთან, აღარ იძლევა არსებული სისტემა იმის შესაძლებლობას, რომ პროფესორმა 2 თვის შემდგომ გააგრძელოს იგივე სტატუსი, თუ ყოველწლიური შეფასების პირობებში ის თავის ვალდებულებებს კონკრეტული მაჩვენებლის რაოდენიბრივი და ხარისხობრივი მიმართულებით არ დააკმაყოფილებს. მათ აქვთ გერმანული სისტემა, როდესაც პროფესორს რაიმე მიმართულებით აქვს ჩამორჩენა მას ეძლევა ლოგიკური ვადა იმ შემთხვევაში თუ არსებობს არგუმენტირებული პოზიცია.

დაწესებულება დაეთანხმა გიორგი ღალანიძის შეკითხვას, ეს არ არის ის ციფრი რაც სინამდვილეს წარმოადგენს, მაგრამ დოკუმენტებში წერა ეს. ფაქტის წინაშე არგუმენტი ვერ ექნება დაწესებულებას. მიღებულია მითითება და ეცდება ინსტიტუცია რომ რეალობა უფრო მკაფიოდ და მისაღები ფორმით წარმოადგინოს.

ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც უნივერსიტეტი აცხადებს თემებისა და დარგების მიხედვით დოქტორანტურაში მისაღები ადგილების რაოდენობას, მათ უკვე აქვთ წარმოდგენა თუ ამ მიმართულებაზე რა ტიპის ხარჯებს უნდა ელოდონ. თუმცა რა თქმა უნდა კვლევის ხარჯებს ხასიათიდან და ინდივიდუალურობიდან გამომდინარე შეიძლება ეს იყოს ცვალებადი. გერმანიამ საქართველოს ბიუჯეტზე ორმოცდაშვიდჯერ მეტი თანხა გამოყო კვლევის დაფინანსების კუთხით. დაწესებულება ყველაფრის მიუხედავად ახერხებს, რომ თუ დოქტორანტს სჭირდება მივლინება, ან კონკრეტული ექსპერიმენტის ჩატარება, ისინი მათ აძლევენ ამის შესაძლებლობას. მიმდინარეობს რეფორმა სადისერტაციო საბჭოების საქმიანობის სრულყოფის მიმართულებით. ყველა მიმართულებით ტექნიკური უნივერსიტეტი ცდილობს, რომ უკეთესი გახადოს არსებულთან შედარებით.

დაწესებულება სილაბუსებთან დაკავშირებით დაეთანხმა საბჭოს წევრს და აღნიშნა რომ გაითვალისწინებდნენ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პანდემიამ დიდი

პრობლემები შეუქმნა დაწესებულებას თვითშეფასების და რეაკრედიტაციის განაცხადის მომზადების პროცესში. შესაძლოა სწორედ ამან გამოიწვია ფორმალური უზუსტობები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:00

დასრულების დრო: 20:27

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. განისაზღვროს სამიზნე ნიშნული პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედგებთან და აისახოს შესაბამის სილაბუსებში;
4. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განიხილოს ძირითადი სპეციალობის ქიმიის მიმართულების სასწავლო კურსების სავალდებულოდან არჩევით საგნებში გადატანა და არჩევითი საგნების სპექტრის გაზრდა, რათა დოქტორანტს ჰქონდეს თავის კვლევით სფეროში ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა;
5. სასწავლო კურსში „სწავლების მეთოდები“ სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსის შინაარსთან;
6. რეკომენდირებულია დაკორექტირდეს სასწავლო კურსებში „სწავლების მეთოდები“ და „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ კრედიტების რაოდენობა და შესაბამისი საკონტაქტო საათები, პროგრამის სპეციფიკის და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
7. გადაიხდოს სასწავლო კურსების: „თანამედროვე წარმოდგენები არაორგანულ ქიმიაზე“, „ფიზიკური ქიმიის თეორიული ასპექტები“, „ნივთიერებათა ანალიზის თანამედროვე ასპექტები“ შინაარსი, რათა არ განმეორდეს ისეთი საკითხების სწავლება, რომელიც როგორც წესი, ღრმად ისწავლება, სწავლების პირველ და მეორე საფეხურზე და ნაკლებად არის მესამე საფეხურისათვის შესაბამისი;
8. სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისათვის გაიწეროს კონკრეტული აქტივობები, როგორც პროგრამის ფარგლებში, ისე კურუკულუმს გარეთ აქტივობებთან მიმართებით;
9. გასწორდეს შეუსაბამობა „პროფესორის ასისტენტობის“ სილაბუსს და ამავე სილაბუსის დანართი 1-ით გათვალისწინებულ შეფასების ფორმებს შორის. ამასთან, დანართი 1-ით გათვალისწინებული ლექცია-სემინარებზე დასწრება არ წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასების რელევანტურ მეთოდს.
10. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;
11. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად, განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus-ისა და Web of Science) ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე უურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;
12. გადაიხდოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები და დაემატოს მას Scopus-ისა და Web of Science-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ხილვადი

ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სადოქტორო თემის მიმართულებით;

13. აკადემიური პერსონალისადმი წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაემატოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ასახული პუბლიკაციები (Scopus და Web of Science);
14. რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს აკადემიური პერსონალის აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევითი და სტუსტვის მნიშვნელოვან საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებულ იქნება თანამედროვე გამოწვევები და შესაბამისად, შეფასდება IF მქონდე ჟურნალებში პუბლიკაციები, დარგის მნიშვნელოვან და აღიარებულ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, საერთაშორისო პატენტები და საერთაშორისო თანამშრომლობა;
15. გაუმჯობესდეს სტუ- II კორპუსში განთავსებული ლაბორატორიების (პროგრამის მირითადი ბაზა) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უახლოეს მომავალში;
16. დაწესებულებამ შეიმუშაოს მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების კონკრეტული გეგმა, შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მითითებით;
17. განისაზღვროს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსი, მათ შორის კვლევების გაუმჯობესებისათვის განკუთვნილი ხარჯები;
18. პროგრამის შიდა შეფასებისას, გამოიყენეთ კომპლექსური მიდგომები PDCA ციკლის ყველა ეტაპზე, რათა სწორად იქნას იდენტიფიცირებული პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში;
19. პროგრამის შემდგომ განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია გარე შეფასების სისტემის გაუმჯობესება და ობიექტური შეფასება, მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენებით;
20. ანალოგი პროგრამების სწორი იდენტიფიცირება და პერიოდული დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
21. რეკომენდირებულია გაიზარდოს ქიმიის სადოქტორო პროგრამაში მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალის ჩართულობა;

რჩევები:

1. სასურველია შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, საუნივერსიტეტო რეალური შესაძლებლობების გამოყენებით;
2. დაზუსტდეს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო - საწარმოო სექტორთან მიმართებით და მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია პოტენციურ დამსაქმებლებს;
3. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში მეტად იყოს ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები;
4. სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მეტი მხარდაჭერა სწავლების შედეგების ფორმირების, გაზომვის და ანალიზის მიმართულებით;
5. სასურველია ქიმიის სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვის პირობებში, მითითებულ იქნას, რომ ჩარიცხვის მსურველი ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს სადოქტორო პროგრამის ან მომიჯნავე სფეროში;
6. სასურველია სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობად განსაზღვრული გასაუბრების დაზუსტებული პირობების და ფორმატის შემუშავება;
7. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების: „პოლიმერების ქიმიის თანამედროვე მიღწევები“ და „ქიმია თანმედროვე ფარმაციაში“ შინაარსი გარკვეული საკითხების გაღრმავების მიზნით;
8. სასურველია დოქტორანტებს, რომელთა კვლევით თემატიკას წარმოადგენს პოლიმერების ქიმია, ჰქონდეთ პოლიმერების ფიზიკის სასწავლო კურსის არჩევის შესაძლებლობა;
9. „პროფესორის ასისტენტობის“ კურსის სილაბუსის განმახორციელებელ პერსონალში გათვალისწინებული იქნას დოქტორანტის ხელმძღვანელი, რომელიც სილაბუსის

- შესაბამისად, მონაწილეობს, როგორც დოქტორანტის მიერ განსახორციელებელ აქტივობებში, ისე შეფასების პროცესში;
10. საერთაშორისო კოლაბორაციების დაწყება/გაღრმავება და შესაბამისი მემორანდუმების განახლება;
 11. უნივერსიტეტმა დაგეგმოს და განახორციელოს ტრენინგები აკადემიური პერსონალის სწავლების თანამედროვე მეთოდებთან და მათ სასწალო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით;
 12. სასურველია უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ჩატარება;
 13. Erasmus+ის და სხვა გაცვლითი პროექტებში, უნივერსიტეტის პარტნიორ დამსაქმებლებთან სტაუირების და სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების შესაძლებლობების გამოყენების მიზნით, სასურველია დაიგეგმოს პროგრამის სტუდენტების ხელშემწყობი ღონისძიებები;
 14. სასურველია გაუმჯობესდეს სადოქტორო ნაშრომის რეცენზირების სისტემა;
 15. სასურველია უნივერსიტეტმა დაგეგმოს პერსონალის განვითარების ხელშემწყობის აქტივობები. მათ შორის, სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების გაზრდის მიმართულებით;
 16. სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა გაასწოროს ტექნიკური შეცდომები, როგორც პროგრამაში, ისე თვითშეფასების ანგარიშში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3² პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3² ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

მეხუთე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 25 ნოემბრის N344 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32 ,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მექქვსე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 12 მარტის N56
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32 ,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 03 ივლისის N153 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32 ,

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა გაიოზ ფარცხალაძემ და ანზორ ბერიძემ

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარეობის უფლებამოსილება შეითავსა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო იმნაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 -ე მუხლის მე-4

პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა თამარ ჩხეიძე

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს და დაწესებულებას „ბიოლოგიის“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ერთი შესვენების ფარგლებში, თანმიმდევრობის დაცვით განხილვასთან დაკავშირებით. ვინაიდან სამივე პროგრამა შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა. საბჭოს წევრები და დაწესებულება დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარეს.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტი განხორციელდა კოლეგიალურ, სასიამოვნო ატმოსფეროში. საერთო ჯამში ექსპერტები პროგრამით კმაყოფილებია არიან, მათ ნახეს მთელი რიგი საუკეთსო პრაქტიკა. დაადგინეს, რომ მაღალი კვალიფიკაციის, დიდი ენთუზიაზმისა და დიდი სამეცნიერო პედაგოგიური გამოცდილების ხალხთან ჰქონდათ საქმე. პროგრამას აქვს შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რაც საკმარისია ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სწავლის შედეგზე გასასვლელად. არის მაღალი დასაქმება სტუდენტებისა და ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ დაწესებულებას აქვს ბევრი მემორანდუმები. მაღალია ადმინისტრაციის ფინანსური მხარდაჭერა ისეთ აქტივობებზე როგორიც არის: კვლევითი პროექტების საუნივერსიტეტო დაფინანსება, სტატიის გამოქვეყნება, წახალისება, კონფერენციების ორგანიზება და აშ. ასევე პროგრამაზე ისწავლება რეგიონისთვის აქტუალური საკითხები. აქვთ ფანტასტიური საუნივერსიტეტო პროტალი, რომელიც შეიძლება ნებისმიერი უნივერსიტეტისათვის იყოს სამაგალითო. მაგისტრანტები ჩართული ჰყავთ არამხოლოდ სამეცნიერო კვლევებში, არამედ პუბლიკაციებში. თაანავტორებად ხშირ შემთხვევაში მოიაზრებიან მაგისტრანტებსაც. აქვთ მთელი რიგი საინტერესო კურსები, მათ შორის სადოქტორო პროგრამებზე. რაც შეეხება რჩევებსა და რეკომენდაციებს, ისინი მიმართულია იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს და კიდევ უფრო უკეთესი იყოს პროგრამა. პირველი რეკომენდაცია ეხება მიზნებისა და შედეგების სწორ ფორმულირებებს მათ ლაკონურად გასაგებად ასახვას შესაბამისად შედეგების სწორი ფორმულირებით ასახვას კურიკულუმის რუკაში. შემდეგი რეკომენდაცია ეხება ქიმიის სწავლების კომპონენტის გამლიერებას. მისი თქმით, ქიმიის კარგი ცოდნა მნიშვნელოვნად უადვილებს სტუდენტს, ბიოლოგიური დისციპლინების სილრმეებში ჩასვლას და იძლება უკეთესად ათვისების შესაძლებლობას. ინტერვიუების დროს თავად სტუდენტებმაც ისურვეს ქიმიის უკეთ ათვისება, ზუსტად იმ საგნებში იყო სისუტეები, რომელიც ქიმიაზე იყო დაფუძნებული. არის ფუნდამენტური საგნები, სადაც განსაკუთრებით საჭიროა ქიმიის ნორმალური ცოდნა. მისი თქმით, სილაბუსებთან დაკავშირებით უნდა დაკორექტირდეს გარკვეული თემატიკები, ასევე ყურადღებაა გასამახვილებელი პრერეკვიზიტებზე, რამდენიმე საგანს საერთოდ არ ჰქონდა პრერეკვიზიტი, შედარებით მაღალი საფეხურის საგანში განხილული ჰქონდათ ბიოლოგიის შესავალი, რაც არის ძალიან დამწყები საგანი ბიოლოგიის სფეროში, ის სათანადო ცოდნას ვერ იძლევა, რომ უფრო მაღალი საფეხურის სპეციალიზირებული ბიოლოგიურ დისციპლინებში კარგად გაერკვეს სტუდენტი. ათვისებაში იქმნება პრობლემა, ამიტომ აუცილებელია ადეკვატური პრერეკვიზიტების დამატება. გვაქვს რეკომენდაცია რომ სილაბუსებში მიეთითოს

თითოეული თემის მოსამზადებლად ლიტერატურა გვერდების მითითებით. ბაკალავრის სტუდენტებს არ აქვთ ის ენთუზიაზმი, ის ბაზისური ცოდნა რომ თავისით დამოუკიდებლად დაიწყონ მოძიება. ასევე აუცილებელია დამატება იმის დასანახად გადაფარვებით ხომ არ ხორციელდება სწავლა, ხომ არ მეორდება ერთიდაიგვე თემები. ასევე სტუდენტების სურვილი იყო გაუმჯობესებულიყო ინგლისური ენის სწავლება უფრო მეტად. შეფასების სისტემა არის მსგავსი ყველა სხვადასხვა დისციპლინაში, საგნები ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი მიზნებით, შედეგებით, სპეციფიკით, სირთულითა და აშ. შესაბამისად ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესი იქნება უფრო მეტი თავისუფლება იყოს და არა ქულების მითითება შუალედურსა და ფინალურზე. როდესაც სილაბუსშია ასახული, რომ სტუდენტს გარკვეულ ღირებულებებსა და ავტონომიურობას გამოუმუშვაბეს, მსგავსი ჩანაწერი ბაკალავრის დონეზე გადაჭარბებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მტკიცდებოდეს აღნიშნული. საგნები თავისი თემატიკებით ნამდვილად გაიყვანს სტუდენტს იმ შედეგამდე, რომელიც აღიარებულია ბიოლოგის პროგრამებისთვის. ეს არის ნარატიული მომენტი, გაფორმებასა და სიტყვების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დისციპლინებში სადაც არის ამის შესაძლებლობა უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული უნარჩვევების შეფასების მექანიზმების დანერგვა დასკვნით გამოცდაზე, შესაძლებელია სემინარებსა და ლაბორატორიებზე ეს ფასდება თუმცა, შესაძლოა იმდენად მცირე წილი ჰქონდნეს პრაქტიკული უნარჩვევების შეფასებას, რომ სტუდენტმა ჩაააბაროს საგანი თეორიული ცოდნით და საერთოდაც გამოტოვოს პრაქტიკული მეცადინობები, მაშინ როდესაც საგანი არის პრაქტიკული კომპონენტით მდიდარი. მისი თქმით ისინი პრაქტიკულ შეფასებებს აკეთებენ ჰისტოლოგიაში, გენეტიკაში ესეთი შეფასება არის, უბრალოდ ეს დოკუმენტებში ვერ ნახეს ექსპერტებმა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნდა შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება. სამწუხაროდ, ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეებში აფასებენ სამეცნიერო კვლევით აქტივობას, მინიმალური ყურადღება ექცევა ისეთ აქტივობებს, როფორიცაა წიგნის სახელმძღვანელოს დაწერა, სახელმძღვანელოს თარგმნა, კონფერენციის მოწყობა, სტუდენტების მომზადება შესაბამისი კონფერენციებისთვის, სკოლების მოწყობა და ისეთი აქტივობები, რომლებიც სტუდენტისთვის მეტად სასარგებლოა. ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისთვის გაცილებით უფრო ღირებული და ფასეულია სახელმძღვანელოები. სტუდენტს სჭირდება კარგი პედაგოგი სწორად დაგეგმილი სასწავლო კურსით და სწორი სახელმძღვანელოები. ლექტორს უნდა ჰქონდეს იმისი სტიმული, რომ დაწეროს წიგნი, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტიზა ჩაუტარდება. წიგნის თარგმნა უმნიშვნელოვანესი აქტივობაა და ეს უნდა დაფასდეს. არიან ენთუზიასტი კოლეგები, რომლებიც უანგაროდ აკეთებენ ამ ყველაფერს, თუმცა ენთუზიაზმსაც აქვს ზღვარი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს, მან აღნიშნა რომ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გააჩნიათ თავიანთი პოზიცია. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს გადაიხედოს პროგრამის მიზნები, დაზუსტდეს, ჩამოყალიბდეს უფრო მარტივად, მოკლედ და მკაფიოდ, რათა გასაგები იყოს პროგრამით დაინტერესებული პირებისთვის, მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი და შედეგი მთავარია დანარჩენ ორ კომპონენტთან მეთოდსა და შეფასების სისტემასთან ერთად. აქ რა თქმა უნდა გათვალისწინებული უნდა იყოს დარგის სპეციფიკა. ბიოლოგია არის მულტიდისციპლინური მეცნიერება და მიზანში ვერ ჩაიწერებოდა, რომ ბიოლოგია სწავლობს ცოცხალ მექანიზმებს. აქ აბსოლუტურად ყველა ზმნა, ყველა მითითება სამივე კვალიფიკაციის მექანიზმებს აღწერის შესაბამისადაა ჩამოყალიბებული. ნებისმიერი კომპეტენცია, ეს იქნება ცოდნა გაცნობიერება, უნარი, თუ პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. რაც შეეხება მკაფიოდ ჩამოყალიბებას,

მარტივი ყოველთვის არ ნიშნავს, მოკლედ ჩამოყალიბებას. მარტივი შესაძლოა ვრცლად იყოს წარმოდგენილი იმიტომ, რომ უფრო მეტად განიმარტოს იმ დაინტერესებული მხარისთვის ვინც აპირებს ამ პროგრამაზე შემოსვლას. მიზანი ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ ცალკეული სასწავლო კომპონენტის სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი უნდა იყოს პროგრამის მიზანთან და შედეგთან შესაბამისობაში. თუ დაწესებულება აქედან რაიმეს შეაცირებს, რაც ამ მიზანშია წარმოდგენილი, გამოვა, რომ რომელიმე კონკრეტულ მიმართულებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, ან კიდევ ზოგადი უნარებით შემოფარგლული დარჩეს. ერთ ფრაზაშიც კი რამდენიმე სასწავლო კურსით გათვალისწინებული კომპეტენცია გახლავთ ასახული, ეს გაზიარებულია ჯგუფში შემავალი სტუდენტებისა და დამსაქმებლებისათვის. რაც შეეხება სწავლის შედეგს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რამდენიმე შედეგი შესაძლოა გაერთიანებულიყო, მაგრამ გაერთიანების შემთხვევაში ბევრად უფრო გართულდებოდა მისი აღქმა. სწავლის მეორე შედეგში მოცემულია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა, ეს ორიენტირებულია კვლევაზე, რაც შეეხება მეოთხე შედეგს, ეს კომპეტენცია არის იმ სასწავლო კურსისთვის, რომლებშიც ტარდება საველე პრაქტიკა. რეკომენდაციის მეორე ნაწილი გახლავთ ის, რომ აქტიური ზმნები იქნას გამოყენებული აწყობით, ამას ვერ დაეთანხმა ინსტიტუცია, მისი თქმით, პროგრამა განკუთვნილია იმ აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის, რომლებიც გადაწყვეტინ, სწავლა გააგრძელონ (მომავალში) ამ პროგრამაზე. ამიტომაც, აქტიური ზმნები გამოყენებულია მომავლის ფორმით, რამდენადაც, კურსდამთავრებულს ასეთი უნარ-ჩვევები ექნება პროგრამის დასრულების შემდეგ. დაწესებულების წარმომადგენლმა ქიმიის კომპონენტის გაზრდასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი ნაწილობრივ იზიარებენ აღნიშნულ რეკომენდაციას, გაძლიერდება ქიმიის სწავლების კომპონენტი, თუმცა, ქიმიის მიმართულებით ჩამოთვლილი მოცულობით სასწავლო კურსების შემოტანა გამოიწვევს დარგობრივი - ბიოლოგიის კომპონენტების შემცირებას, რაც ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანს არსებითად ასცდება. შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება მოხდება ნაწილობრივ. სილაბუსებთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარკვეულწილად მოხდება ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის შინაარსის (ქიმია; ბიოუსაფრთხოება და ლაბორატორიული კვლევის მეთოდები; ბიოტექნოლოგია) კორექტირება. რაც შეეხება ჰისტოლოგიასა და გენეტიკას, ეს სასწავლო კურსები საბაკალავრო პროგრამაზე ზოგადია, ორიენტირებულია ფართო, ზოგადი ცოდნის შემენაზე და იგი სრულად შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მოცემული საფეხურისათვის. გენეტიკაში იმუნოგენეტიკის თავში მხოლოდ ზოგადად შეისწავლება იმუნური თავისებუ-რებების გენეტიკური საფუძვლები, რასაკვირველია, საკითხის არსებითი შესწავლა იმუნოლოგიის კომპეტენციაში შედის. რაც შეეხება ზოგადი ჰისტოლოგიის სასწავლო კურსს, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში კერძო ჰისტოლოგიის ანუ მიკროსკოპული ანატომიის შესწავლა სცილდება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს. აღნიშნული საკითხების შესწავლა ღრმა და სისტემური ცოდნის შემენაზეა ორიენტირებული და მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნების შესაბამისია. ასევე მისი თქმით არცერთ უმაღლეს სასწავლებელში ჰისტოლოგიის კურსში მიკროსკოპული ანატომიის საკითხები არ არის შეტანილი და მას რჩება შთაბეჭილება პროფესორის აკადემიურ თავისუფლებაში უკანონო ჩარევის.

პრერეკვიზიტებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ეთანხმებიან აღნიშნულ რეკომენდაციას და საგნებს - ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, გენეტიკა, ბიოტექნოლოგია, ჰიდრობიოლოგია, იმუნოლოგია და სხვ. განესაზღვრებათ რელევანტური პრერეკვიზიტები.

ლიტერატურის მითითებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იქ, სადაც სახელმძღვანელო კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსს სრულად არ

შეესაბამება, გვერდები მითითებული იქნება, როგორც ეს გაკეთებულია მაგალითად, მოლეკულური ბიოლოგიის სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლების მეთოდებისადა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები შესაბამისობასთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეაკტორებისათვის მზადების პერიოდში თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა განახორციელეს მონიტორინგი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შესაბამისობასთან დაკავშირებით. აღნიშნულს მოწმობს დასკვნის პროექტში სტანდარტი 2.5 - ში ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი შეფასება.

4.2 სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინტიტუციას გათვითცნობიერებული აქვს რომ უნივერსიტეტი იმით განსხვავდება სასწავლო უნივერსიტეტისგან, რომ ორი თანხვედრი პარარელურად მიმდინარე სამეცნიერო და სასწავლო პროცესი ერთნაირად აჩენს კვალს უნივერსიტეტის განვითარებასა და რეიტინგზე. უნივერსიტეტში ხდება, როგორც აკადემიური ასევე სამეცნიერო საქმიანობის შეფასება. დაწესებულებაში არის ელექტორონული სისტემა, რომლის ნახვის საშუალება პრეზენტაციის სახით ექსპერტებს ჰქონდათ. ასვევე, დანართში 4,3,7 მოცემულია საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტში ფინანსდება ყველა სასწავლო მასალა, ეს იქნება სახელმძღვანელო თუ სალექციო კურსი, სამეცნიერო უურნალები, ლექსიკონი, ატლასი ალბომები, ასევე თარგმანი ფინანსდება სამეცნიერო ლიტერატურის და სასწავლო ლიტერატურის. დაფინანსება არის სრული და არის ნაწილობრივი, იქიდან გამომდინარე რამდენად აქტუალურია ის სასწავლო კურსი. უნივერსიტეტში მოქმედებს იმუნო გენეტიკის ლაბორატორია, უჯრედული ბიოლოგიის ლაბორატორია და ა.შ., სტუდენტებს აქვთ საშუალება ლაბორატორიული მეცადინეობების. მოქმედებს შიდა საგრანტო პროექტი და დაწესებულება წარადგენს პროექტს, სადაც აუცილებელია მონაწილეობდეს ყველა საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამის სტუდენტები. საგრანტო პროექტის აუცილებელი პირობაა, რომ გამოქვეყნებული იყოს კვლევის პროექტები, სადაც აუცილებლად მითითებულია თანაავტორები. დაწესებულების განმარტებით ფინანსური მხარდაჭერა ხდება რაოდენობრივი ქულებითაც. დაწესებულებამ წახალისებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შინაგანაწესში გაწერილია მუხლი 14, რომელიც არის პერსონალის წახალისება, აქვეა სტუდენტთა წახალისება, თუმცა რადგან პერსონალზეა საუაბრი ამიტომ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს არის გაწერილი შინაგანაწესში და დანართის სახით მისი ნახვა შესაძლებელია 4.2.12 დანართში. რომელშიც აღწერილია სწორედ ის წახალისების მექანიზმები, რომელიც პერსონალისთვის არის გაწერილი. ეს არის ფულადი ჯილდო, ფულადი პრემია სამეცნიერო კომფერენციებსა და სიმპოზიუმებზე გამგზავრება და ასევე, სტატიების დაფინანსება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაეფიქსირებინათ მათი შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ელენე უურავლიოვამ აღნიშნა, რომ ექსპერტების მოსაზრებით დასკვნითი შეფასება უნდა იყოს კომბინირებული სახის, ის დაინტერესდა არსებული სიტუაცია არ შეესაბამება სტანდარტებს? როგორც წესი ეს არის აკადემიური პერსონალის არჩევა. მისი მეორე შეკითხვა ეხებოდა პერსონალის შეფასების ქილობრივი სისტემას, მისი თქმით დაწესებულება ამბობ რომ არსებობს შეფასების ქილობრივი სისტემა და თუ ეს ესეა, რამ განაპირობა აღნიშნული საკითხის რეკომენდაციაში ასახვა.

საბჭოს წევრმა გიორგი ღალანიძემ აღნიშნა, რომ ის გაეცნო შრომის ბაზრის დოკუმენტს, მისი თქმით გამოკითხულია 13 რესპონდენტი, ის დაინტერესდა როგორ მოხდა მათი შერჩევა,

როგორი იყო შერჩევა? რამხელა იყო შერჩევითი ერთობლიობა? რაც შეირჩა რა ნაწილია ამ შერჩევითი ერთობლიობის, რამდენად ვალიდურია მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელსაც საბჭო უნდა დაყრდნოს. ასევე მან ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ უნდა იხელმძღვანელონ სტანდარტი 4.4.-ით, რომელიც ამბობს რამდენად ეკონომიკურად მიღწევადია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სახსრები, აქედან იბადება კითხვა, თქვენ რომ გაქვთ შემოსავალს გამოკლებული ხარჯი და გიწერიათ მოგება ეს რა არის? ეს წავა ამ პროგრამის განვითარებაზე? ბიოლოგია არ არის იაფი დარგი, თუ ეს მიდის საუნივერსიტეტო ფონდში და შემდგომ იქიდან გამოიყოფა? საბჭოს წევრები უნდა დარწმუნდნენ პროგრამის მდგრადობაში.

საბჭოს წევრი ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა პირველ და მეორე რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ რას გულისხმობდა ექსპერტი, პროგრამა მიზნების გაგებადობაში იყო, თუ მათ პრობლემა დაინახეს მიღწევადობის თვალსაზრისით, ასევე ის დაინტერესდა რამდენად იყო სწავლის შედეგები გაზომვადი. ეკატერინე ნაცვლიშვილმა ასევე აღნიშნა რომ, ვინაიდან პირველი და მეორე სტანდარტი შეფასებულია მეტწილად და თუ ექსპერტებმა პრობლემა დაინახეს მიზნებში და შედეგებში, რატომ არ გამახვილდა ყურადღება მეზუთე სტანდარტზეც, იმ თვალსაზრისით რომ ხარისხის სამსახურს უნდა ჰქონდეს ისეთი შიდა მექანიზმი, რომელიც დაინახავდა და აღმოფხვრიდა პროგრამის მიზნებისა და შედეგების გარკვეულ ხარვეზებს. ასევე ის დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ხდებოდა სასწავლო კურსებში „ფართო სისტემური ცოდნის“ გაზომვა.

საბჭოს წევრმა ნინო ინასარიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ის დაინტერესდა რამ განაპირობა რეკომენდაციის არსებობა ინგლისური ენის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც პროგრამაში ინგლისური ენის სწავლებისთვის კრედიტები საკმარისადაა წარმოდგენილი, ასევე ის დაინტერესდა ექსპერტებისთვის დამაკმაყოფილებელი იყო თუ არა დაწესებულების პასუხი ჰისტოლოგიასთან დაკავშირებით.

ექსპერტის განმარტებით, არავის განუსზღვრია ჰისტოლოგიის გავლა, სადაც ხდება ჰისტოლოგიის სწავლა ისინი გადიან 1 სემესტრში. ფასს კარგავს ზოგადი ჰისტოლოგიის სწავლა კერძოს გარეშე. ზოგადს სწავლობენ იმიტომ, რომ შემდგომ კერძო გაიარონ. კერძოს გავლა შესაძლებელია მსუბუქად იმ დონეზე, რაც ბაკალავრიატის საფეხურისთვის შესაბამისი, აღნიშნულის უფრო ღრმად მიწოდება შესაბამისია მაღალ საფეხურზე. თუ სტუდენტი ღრმად გადის იმუნური სისტემის ჰისტოლოგიას, ფუნქციონალურ და მოლეკულურ დონეზე, რატომ არ უნდა ისწავლოს სხვადახვა ორგანოთა ჰისტოლოგია. რაც შეეხება ინგლისურს, საუბარია იმაზე, რომ სტუდენტები არ არიან თავიანთი ცოდნით კმაყოფილები. მისი თქმით, მიზნები მკაფიოდ და მოკლედ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რაც შეეხება შედეგებს, გარკვეულ შედეგებში ცალსახა გაზომვადობა დააკლდათ ექსპერტებს. შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია შეფასებისთვის, ამ ეტაპზე არაფერს ავნებს თუმცა მომავალში ავნებს თუ სწორედ არ გაიწერება. შეფასების კომბინირებულ ფორმაზე დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით მან განმარტა, მათ მაგალითად მოიყვანეს ჰისტოლოგია. ჰისტოლოგიის სილაბუსში შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების ფორმა არის ტესტი და თეორიული საკითხი, რეკომენდაცია გულისხმობს დასკვნით გამოცდაზე ჩადებული იყოს ის პრაქტიკული კომპონენტი რაც მედიცინაში 'ოსპის' სახელწოდებითაა ცნობილი. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ არ შეიძლება ეს აკადემიური თავისუფლება დაუტოვონ ინსტიტუციას. ექსპერტმა განმარტა, რომ შესაძლოა მას ჰქონოდა რჩევის სახე და არა რეკომენდაციის. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა არის თუ არა მინიმალური ზღვარი პრაქტიკულ მუშაობაზე, რაზედაც პასუხი იყო რომ არა. ოსპი საბჭოს წევრის განმარტებით არის, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა და არა კლინიკური, რასაც ოსტში აუცილებლად ითხოვენ, ოსპი შემოსული იყო მედიცინაში საბაზისო დონეზე, მათ შორის ჰისტოლოგიასა და ანატომიაში, როგორც

რეკომენდაცია და არა როგორც სტანდარტი. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო რჩევა თანაც ღირებული.

ექსპერტის განმარტებით, სამედიცინო პროგრამისთვის ოსკი მთავარია ბიოლოგებისთვის ოსპი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მედიკოსებისთვის.

ექსპერტმა 4.2 სტანდარტთან მიმართებით არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ ხდება ქულობრივი შეფასება, მათ კი მიაჩნიათ რომ სტიმული უნდა მიეცეს სტუდენტს. ეს არის სასწავლო დაწესებულება და არა სამეცნიერო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გაწეულია უშუალოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებასთაან მიმართებაში, გარდა მაგისა 40 პროცენტი არის ზედნადები ხარჯი, რომლითაც ადმინისტრაციულ ხარჯებს უზრუნველყოფს პროგრამა. საბოლოო ჯამში არის მოგება, რომელიც კონსოლიდირდება ცენტრალურ ბიუჯეტში. ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდება პროგრამის მხარდაჭერა, როდესაც ექსპერტებმა ნახეს მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია კონკრეტული ბიოლოგიის მიმართებაში დაინახვადნენ რომ ინსტიტუცია ცენტრალური ბიუჯეტიდან უზრუნველყოფს მატერიალურ ტექნიკური ბაზის მოწყობას, სამივლინებო ხარჯების გაწევას, შიდა გრანტების საკითხს და აშ. არსებობს პროგრამები რომლებიც არ არის მომგებიანი მაგრამ საერთო ბიუჯეტიდან გამომდინარე, ზრუნავს ინტიტუცია იმაზე, რომ მოახდინოს ყველა პროგრამისთვის კეთილდღეობის შექმნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პედაგოგიურ აქტიოვობებში შედის ის აქტივობები, რომელიც ნარატივის სახით არის წარმოდგენილი დასკვნით სიტყვაში. 5 პუნქტით იწყება და 9 პუნქტით სრულდება, სადაც არის საბაკალვრო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, სემინარების მუშაობაში, ჩართულობა, ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა, რომელიც ფასდება ქულობრივად. შრომის ბაზრის კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო კურსდამთავრებულთა გამოკითხვა დასაქმებასთან დაკავშირებით, შესაბამისად შემდგომ მიზნობრივად მოხდა კონკრეტული კითხვარის გაგზავნა დამსაქმებლებთან ეს არის სხვადახვა ორგანიზაციები. იმ ცამეტ ციფრში მოცემულია ის ძირითადი ორგანიზაციები, სადაც კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულები.

დაწესებულების განმარტებით ზეპირ გამოცდაზე ხდება მიკროსკოპით პრეპარატის გამოცნობა და შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ პირველ და მეორე სტანდარტში რეკომენდაციები გაიცა დარგის სპეციალისტების მიერ. რაც შეეხება მხუთე სტანდარტს, მონიტორინგის ნაწილს, პროცედურა იყო დეტალურად გაწერილი და სამახურს შეუძლია გარკვეული ცვლილების დაფიქსირების შემდგომ მიუტრიალდეს და ფოკუს ჯგუფში იმუშაოს. მეხუთე სტანდარტი გამართულია, როგორც რეგულაცია. რაც შეეხება დარგის ნაწილს, განათლების ექსპერტი ვერ შევიდოდა ამ ნაწილში. ბევრი ნაწილი გაიწერა არა როგორც რეკომენდაცია, არამედ როგორც რჩევა. სტუდენტებმა თქვეს უკეთესი იქნებოდა დარგობრივადაც ესწავლათ ენა, ეს არის შემდგომი განვითარების სამსახური. დაწესებულებამ თავად უნდა დაარეგულიროს და სტუდენტებს შესთავაზოს ენის კურსები.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაზომვადობასა დარეალისტურობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს შემუშავებული სამიზნე ნიშნულები.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ჰქონდა სხვა შეკითხვა და განუმარტა, მაგალითად სასწავლო კურსი ეკოლოგიის შესავალი, რომელიც საბაზისო კურსია, პირველივე სემესტრიდან ისწავლება, სასწავლო კურსის მიზანი მკაფიოდ და გასაგებად არის ჩამოყალიბებული, მიზანია

ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთკავშირისა და გარემოსთან დამოკიდებულებისა და საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების ეკოსისტემების ძირითადი ტიპებისა და მათში მიმდინარე პროცესების შესახებ ფართო ცონის შემენა, მოსალოდნელი გლობალური ეკონომიკური კრიზისის სავარაუდო საფრთხეების გააზრებისა და შეფასების უნარის ჩამოყალიბება. საინტერესოა რა უნარზე გადის ეს სასწავლო კუსი? ასევე არის ორი შედეგი-კურსის დასრულების შემდგომ სტუდენტს ექნება ფართო ცოდნა გარემოს აბოტური და ბიოტური ცოცხალ სამყაროზე ზემოქმედების თანასაზოგადოებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების ეკოსისტემების ძირითადი ტიპების შესახებ გააცნობიერებს ეკოსისტემაში მიმდინარე პროცესებს და უნარი, რომელსაც ეს კურსი განუვითარებს ექნება ეკოლოგიური პრობლემების შესახებ ლიტერატურისა და სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების განალიზების უნარი, მისი თქმით, სრულიად არარელევანტურია ეს უნრარი აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანთან. ცოდნა გაცნობიერებაც არ არის გაზომვადი.

საბჭო გადავიდა ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხილვაზე.

ექსპერტთა პოზიციის განხილვა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე 11. სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია მსგავსია საბაკალავრო პროგრამისა და ეს საკითხი უკვე გავიარეთ. ასევე მეორდება რამდენიმე რეკომენდაციაც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უნდა გადახედოს სილაბუსების თემატიკებს, რათა აღმოიფხვრას თემების, ასევე ძირითადი სასწავლო ლიტერატურის დუბლირება ამავე და სხვა საფეხურის სასწავლო კურსებთან. მისი თქმით დაწესებულებას გააჩნია ახალი წიგნები, რომელიც ასევე ასახონ სილაბუსებში. გადახედილ იქნას ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და თემატიკებს საჭიროების შესაბამისად გაუკეთდეს კორექცია (ჩაემატოს, შეიცვალოს ან ამოღებულ იქნას ცალკეული თემები). ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ტექსტში დეტალურადაა განხილვა. კურსის შედეგები აისახოს მისი შეფასების მეთოდებში და დაზუსტდეს პროგრამის შედეგებში. რაც შეეხება მეოთხე რეკომენდაციას, სწორედ ამ ნაწილში ხედავს ის სასწავლო განათლების წინსვლას, თუ მოხდება აკადემიური და საჯარო აქტივობების დაფასება, წახალისება და სტიმულირება, ექსპერტის განმარტებით ბევრად მეტი წიგნი ითარგმნება და დაიწერება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების განმარტებით, სამაგისტრო პროგრამა უნივერსიტეტში საკმაოდ დიდი ხანია მუშაობს. პროგრამა იძლევა ბიოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაციას და არჩეული აქვთ სამი კონცენტრაცია, იქ სადაც ჰქონდათ რესურსი, აკადემიური რესურსი სადაც კვლევის ობიექტის ხელმისაწვდომობაა, რაც დაწესებულების აზრით ასახული არის მიზნებში, მიზნები ჩამოყალიბებულია სამ პუნქტად. ისინი შეეცადნენ მიზნები ყოფილიყო ძალიან გაშლილი, ისინი შინაარსობრივად როგორც საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს ისე კვალიფიკაციის აღმწერსა და სწავლის სფეროებს შეესაბამება. პროგრამაში აქვთ სამი კონცენტრაცია: პიდრობიოლოგიის, ბიომრავალფეროვნებისა და გენეტიკის. დაწესებულება ფიქრობს, რომ შინაარსობრივად მიზნები გადმოსცემს იმას, რისი თქმაც სურს ინსტიტუციას, ამასთანავე ეს შეჯერებულია სამუშაო ჯგუფთან და სტუდენტებთან. ვინაიდან ექსპერტები ადასტურებენ, რომ მათთვის ეს ნარატივი გასაგებია და როდესაც ამას ადასტურებს სტუდენტიც, ფიქრობენ რომ მხოლოდ ფორმის და გემოვნების გამო პრობლემა არ უნდა დასმული დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამა შინაარსობრივად ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, მათი პოზიცია იგივეა რაც საბაკალავრო პროგრამის განხილვის დროს დააფიქსირებს. რაც შეეხება სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, მისი თქმით, პროგრამას აქვს 10 შედეგი,

აქედან 4 საერთოა პროგრამის ყველა სტუდენტისათვის ხოლო 2-2 შედეგი ყველა კონცენტრაციისთვის არის, რომელიც ძირითადად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიცავს. ამ საკითხების ჩაშლა გამოიწვევდა 15-16 შედეგის განვითარებას, ინტიტუციამ ჩათვალა, რომ ასეთი ჩაშლა არ იქნებოდა აღქმადი და მისაღები. 2.3 სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას ნაწილობრივ ეთანხმება ინსტიტუცია, მისი თქმით, თემის სწავლება არ განისაზღვრება მხოლოდ საკითხის დასახელებით, აյ შესაძლებელია ლიტერატურის, მიდგომების, შეფასების და სხვა მეთოდების გამოყენებით მიღწეულ იქნას აბსოლუტურად სხვა სიღრმე და დონე კონკრეტულ საგანში. ისინი ექსპერტებს ეთანხმებიან ზოგიერთ საგანთან მიმართებაშია მაგალითად: იმუნოგენეტიკა, სადაც არის თემების გადაფარვა და მეორდება იმუნოლოგის საკითხები იმ მოცულობით, რა მოცულობითაც არ უნდა იყოს მოცემული. რაც შეეხება რეკომენდაციებს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენებასთან დაკავშირებით, მისი თქმით ექსპერტებს დასკვნაში ასახული აქვთ, რომ ვიზიტის დროს კათედრებზე ნახეს უახლესი ლიტერატურა, რომელიც სტუდენტებისათვის არ იყო მიწოდებული. ექსპერტმა განუმარტა, რომ არ ეწერა მხოლოდ სილაბუსში. მან აღნიშნა, რომ არის უახლესი გამოცემები, მას უბრალოდ ჰქონდა სურვილი რომ ბოლო ორი გამოცემა მაინც ყოფილიყო სილაბუსში ასახული. დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა, რომ არის უახლესი ლიტერატურა ასახული, აღნიშნა რომ ბიოლოგია სწრაფად განვითარებული დარგია, შესაძლოა ჰქონდეთ 2017 წლის გამოცემა და არა 2020 წლის.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შესაძლოა ზოგ პროგრამაზე არ იყოს ბოლო გამოცემის სახელმძღვანელო მითითებული, ასევე იყო რუსულენოვანი ლიტერატურა, თუმცა ეს არის მხოლოდ დამხმარე ლიტერატურა. ასევე მან აღნიშნა რომ დანარჩენ რეკომენდაციებზე დაწესებულებამ თავიანთი პოზიცია უკვე დააფიქტოს საბაკალავრო პროგრამის განხილვის დროს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს გადასულიყვნენ კითხვების რეჟიმზე.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ აღნიშნა, რომ მისასალმებელია, როდესაც სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ისეთ კონცენტრაციებზე, რომლებიც დარგისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ის დაინტერესდა, მოხდა თუ არა პროგრამის გარე შეფასება პროგრამის სტრუქტურის, შედეგების რელევანტურობასთან დაკავშირებით და სხვა თემებზე. მისი თქმით გენეტიკური ინჟინერია არის არჩევითი, ხოლო სავალდებულოდაა განსაზღვრული ისეთი კურსი, როგორიცაა გენეტიკური პროგნოზირება და კონსულტაცია, რომელსაც საკმაოდ სერიოზული სწავლის შედეგი აქვს, ეს არის ისეთი დარგები, სადაც გენეტიკური კონსულტირება, რომ წერია კურსის გავლის შემდგომ ექნება წარმოდგენა გენეტიკური კონსულტაციის და ექსპერტიზის შესახებ. მოხდა თუ არა “რივიუ” აღნიშნულის მიმართულებით? ასევე ის დაინტერესდა ექსპერტების შეფასებებით სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, კერძოდ როგორ შეაფასებდნენ კვლევის დონეს სამაგისტრო ნაშრომებში? ასევე მისი თქმით, პროგრამის სწავლის შედეგი არის ძალიან საინტერესო: ექნება ინტერდისციპლინური განათლება ცოცხალ ბუნებასთან მიმართებაში, ის დაინტერესდა დაწესებულება როგორ ზომავს ინტერდისციპლინურობას, რომელიც არის ძალიან ფართო, მაგალითად ადამიანების პათოლოგიების ბიოლოგია, რომელიც საინტერესო სასწავლო კურსია, მიზანიც კარგად არის ფორმულირებული, კურსი რჩება გაცნობიერების დონეზე. ფართო ცოდნა შეცვლილია ღრმა სისიტემური ცოდნით, უნარს რაც შეეხება ის არარელევანტურია.

საბჭოს წევრი, გიოგრგი ღალანიძე დაინტერესდა თუ რამდენგვერდიანი იყო სამაგისტრო ნაშრომები? ლიტერატურა როგორ იყო წარმოდგენილი? იყო შემთხვევები, როდესაც კლიმატზე იყო საუაბრი და იყო 22 წლის გამოცემები. მაგისტრატურა მისი განმარტებით, არის უახლეს ცოდნასთან ზიარება. უახლეს ცოდნასთან ზიარება კი ვერ გამოვა 50 წლის წინ გამოცემული წიგნი. რამდენად არის უახლესი ლიტერატურა დასავლეთ ევროპული? ამერიკის შეერთებული შტატების? რაც შეეხება შრომის ბაზარს, თუ იგივე პასუხი აქვს დაწესებულებას, პასუხი მიღებულია. მისი თქმით, სამაგისტრო საფეხურზე კვლევა უნდა დაფინანსდეს, როგორც მან გაიგო, რაც დარჩა პროგრამიდან ის წავიდა ცენტრალურ ბიუჯეტში და შემდგომ იქედან ხდება გამოყოფა, საბჭოს წევრის თქმით, მათ აქვთ პროგრამები, რომლებსაც თანხა აქვთ ნაკლები, ესეიგი ეს პროგრამა კი არ მიიღებს, დაკარგავს. პროგრამა უნდა იყოს მდგრადი და მას უნდა ჰქონდეს პერსპექტივა.

ექსპერტის განმარტებით, გადაიხედა 9 ნაშრომი, ცხრავე შესრულებული იყო ყველა წესის დაცვით. ბიბლიოგრაფია იყო თანამედროვე ლიტერატურით, გვერდების რაოდენობა იყო ზომიერი. ნაშრომები იმ სფეროებშია გაკეთებული, სადაც სტუდენტები თავად მუშაობენ. სტუდენტებს მოგებული აქვთ გრანტები. მისი თქმით, სილაბუსების გაფორმება არის ყველა უნივერსიტეტის პრობლემა, არასწორედ არის გაწერილი, განსაზღვრული თემატიკებიდან გამომდინარე შედეგზე გადის, უბრალოდ სილაბუსის ავტორი სათანადო წესების დაცვით არ აყალიბებს იმას, თუ რაზე გადის რას სმენს და აშ. ექსპერტისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, თუ როგორია შეფასება, შედეგზე გადის თუ არა ამას განსაზღვრავს თემატიკებზე უფრო მეტად შეფასების სისტემა. ხალხი არის პროფესიონალი, საგნები არის მრავალფეროვანი. აღნიშნული არის გამოსწორებადი, მთავარია ექსპერტის თქმით სურვილი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სამაგისტრო თემის სახელწოდებები დანართი 7-შია წარმოდგენილი. ნაშრომები შესრულებულია საკმაოდ აქტუალური თემებზე. პროგრამა მორგებულია რეგიონის მოთხოვნებზე, თუ რამე ორგანიზაცია არსებობს ყველასთან არის ურთიერთობა. ლაბორატორია განთავსებული ქობულეთში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ფართო, ინტერდისციპლინურ სწავლის შედეგთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი გულისხმობენ ბიოლოგიის სხვადასხვა დარგში შეძენილი ცოდნას ინტერდისციპლინური თვალსაზრისით. ეს კი რელევანტურია იმ თვალსაზრისით, რომ სტუდენტი სწავლოს ყველა ორგანიზაციულ დონეს ორგანიზმისა, დაწყებული გენით, უჯრედული ბიოლოგია და კვლევის აუცილებელი მეთოდები. გარდა ამისა კონცენტრაციებში ხდება ცოდნის შეძენა იმ კურსებთან მიმართებაში, რომლებსაც გადიან კონკრეტულ კონცენტრაციებში.

საბჭოს წევრის განმარტებით, სწავლის შედეგის ფორმირების მეთოდოლოგია და მისი გაზომვა არ არის კარგად ჩამოყალიბებული.

დაწესებულებამ შრომის ბაზართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ორიენტირი გაკეთებული იყო შიდა რეგიონის დონეზე. დამსაქმებლები აქტიურად არიან უშუალოდ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული და ის რეკომენდაციები, რომელიც მათ მიერ იყო მოწოდებული დაეხმარა ინსტიტუციას იმის გაანალიზებაში, თუ რა სჭირდება ბაზარს. მოცულობაზე და რაოდენობაზე აქცენტი აღარ გააკეთეს, ისინი როდესაც აწარმოებენ ბაზრის კველვას მთავარი აქცენტი არის ის, რომ კვლევაში ჩართონ იყოს ნებაყოფლობით. მათ სურთ დაინახონ ის თუ ვის ჭირდება მათთან თანამშრომლობა და პარტნიორობა. კეთდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და კეთდება ანალიზი. ბიუჯეტს, რაც შეეხება მისი პრინციპი იგივეა. დაწესებულებას აქვს დაფინანსების სხვდასხვა წყაროები რეგიონულ დონეზე, რაც ეხმარებათ იმაში, რომ მნიშვნელოვან დარგებს შეუწყონ ხელი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გარე შეფასება ჩატარებულია და გათვალისწინებულია, მაგრამ ეს არ ყოფილა კონკრეტულად კონცენტრაციების მიხედვით, არამედ ჩატარდა მთლიანად პროგრამასთან მიმართებით. თუმცა პროგრამის აგებისათვის, გამოყენებულია უცხოური ანალოგი. გენეტიკური კონსულიტირება გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო არჩევითი საგანი, მაგრამ სტუდენტების მოთხოვნით გადმოტანილი იქნა მირითად სასწავლო კურსად.

საბჭო გადავიდა ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის განხილვაზე

ექსპერტთა პოზიციის განხილვა

ექსპერტმა საბჭოს გააცნო რეკომენდაციები, გადახედილ იქნას სილაბუსების თემატიკები და აღმოიფხვრას თემების, ძირითადი სასწავლო ლიტერატურის დუბლირება ამავე და სხვა საფეხურის სასწავლო კურსებთან, გადახედილ იქნას სილაბუსების თემატიკები და შესაბამისი რელევანტური ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები იქნას მითითებული და სხვა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები აქაც მეორდება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ უკვე გასცეს პასუხები რეკომენდაციებს რომლებიც აქაც მეორდება.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლიოვამ აღნიშნა, რომ ის მიესალმება სადოქტორო პროგრამის ამ მიმართულებას, რომელიც რეგიონში საკმაოდ ძლიერია. ის დაინტერესდა ბიოეთიკის კომიტეტთან დაკავშირებით. მისი თქმით, თუ კლინიკასთან ერთად ტარდება კვლევა, კლინიკას აქვს ეთიკის კომიტეტი. მიკრობიოლოგიაში და ბიომრავალფეროვნებაში ბევრ კვლევას ნაკლებად სჭირდება ეთკის კომიტეტი, მან ექსპერტებს ჰქითხა შეგხვდათ თუ არა ესეთი კვლევები და ნაშრომები სადაც აუცილებელია ეთკის კომიტეტის დამატება და პირებს თუ არა ინსტიტუტი აღინშნულის დაფუძნებას?

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ აქაც პროგრამის აგების დროს მეთოდოლოგიური მცირედი ხარვეზებია და დაწესებულებამ უნდა მიაქციოს ყურადღება.

საბჭოს წევრი, გიორგი ღალანიძე დაინტერესდა სადოქტორო დისერტაციებთან დაკავშირებით, როგორც თემატიკის, მიგნებების, ბიბლიოგრაფის თვალსაზრისით.

ასევე მან შრომით ბაზართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გამოკითხულთა რაოდენობა 13-ია და იმედს გამოთქვამს, რომ აღიშნული სადოქტორო პროგრამაზე არის სხვა შემადგენლობით. ან თუ არიან ისი გამოკითხულ იქნა თუ არა სხვა კითხვარების შეთავაზება? მისი თქმით, ბიუჯეტში არსებული მოგება 8520 ლარია, აღნიშნული თანხა საბჭო წევრის მოსაზრებით არის საკმაოდ ცოტა და აუცილებელია ამ საკითხის დარეგულირება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისინი გაეცნენ რამდენიმე სადოქტორო ნაშრომს, რომელთა თემატიკაც შეესაბამება დარგის აქტუალურ თემებს. ისინი დისერტაციის მოკლე ვარიანტს გზავნიან უცხოელ ექსპერტთან, რომელსაც აფასებინებენ და თუ დაიწერა რაღაც ქულაზე ნაკლები არ დაუშვებენ დისერტაციის დასაცველად. რაც შეეხება სტრუქტურასა და ბიბლიოგრაფიას, გამოყენებულ ლიტერატურას შეესაბამება მოთხოვნებს. არსებობს დაფინანსების სისტემა, შესაძლებელია ხელმძღვანელთან ერთად წარდგენილ იქნას შდა საუნივერსიტეტო გრანტი და მოპოვებულ იქნას დაფინანსება. ეთიკის საბჭოს რაც შეეხება, ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი ჩაიწერა რჩევაში, მართალია ბათუმის უნივერსიტეტში არ ტარდება სათანადო კვლევები მაგრამ შესაძლებელია მომავალში ჩატარდეს. აღნიშნული დაწერეს რბილად ვიდრე სავალდებულო სახით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს პროგრამას, წინსვლა კი ყველგან აუცილებელია. დაწესებულებას აქვს კარგი ბაზა და ჰყავს კარგი პერსონალი. რჩევები გაწერილია იმ რწმენით, რომ ინსტიტუცია მათ გაითვალისწინებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 22:45

დასრულების დრო: 12:28

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნები პროგრამის სწავლის შედეგებთან;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
3. რეკომენდირებულია გასწორდეს კურიკულუმის რუკა სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად;
4. ცალკეულ საგნებში გაკეთდეს პრერეკვიზიტების კორექცია. საგნებს - ბიოქიმია, მიკრობიოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, გენეტიკა, ბიოტექნოლოგია, ჰიდრობიოლოგია, იმუნოლოგია და სხვ. განესაზღვროთ რელევანტური წინაპირობები;
5. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
6. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრად;
7. რეკომენდირებულია პროგრამის შედეგების შეფესების მექანიზმში გაიწეროს შედეგებზე დაკვირვების გეგმა და პეიოდულობა;

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. გაძლიერდეს ქიმიის სწავლების კომპონენტი: ცალკე სასწავლო კურსები იყოს გამოყოფილი ზოგადი (არაორგანული ქიმიით) ქიმიის, ფიზ-კოლოიდური ქიმიის (ანალიზური ქიმიის საფუძვლებით) და ორგანული ქიმიის სწავლებისთვის; გაძლიერდეს ქიმიების სწავლებაში ლაბორატორიული სწავლების კომპონენტი; ბიოქიმიას გაეზარდოს კრედიტები;
3. გადაიხედოს და კორექტირდეს ზოგიერთი საგნის სილაბუსის შინაარსი (ქიმია; ბიოუსაფრთხოება და ლაბორატორიული კვლევის მეთოდები; ბიოტექნოლოგია; გენეტიკა; ჰიდრობიოლოგია და სხვ.)
4. სილაბუსებში მიეთითოს თითოეული თემის მოსამზადებლად რეკომენდებული ლიტერატურა გვერდების მითითებით;

5. სასურველია არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს ინგლისური ენის დარგობრივი კურსი;
6. სასურველია გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა;
7. სასურველია უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის საუნივერსიტეტო კომიტეტი/საბჭო ან მემორანდუმი გააფორმონ სხვა დაწესებულების ბიოეთიკის საბჭოსთან თანამშრომლობის შესახებ;
8. სასურველია პრაქტიკული უნარჩვევების შეფასების მექანიზმების დახვეწა დასკვნით გამოცდაზე და მიღებული უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასების უზრუნველყოფა (OSPE-ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა);
9. სასურველია უსდ-მ პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
10. რეგულარულად მომზადდეს ვორკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით;
11. სასურველია გაფართოვდეს გარეშეფასების არეალი და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

(ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

ვინაიდან მსჯელობის დროს გახდა 12:00 საათი, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის 25 ივნისის თარიღში გაგრძელების თაობაზე. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ სხდომის გაგრძელებას.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნები, დაზუსტდეს კონცენტრაციებთან მიმართებაში, ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
3. რეკომენდირებულია დაზუსტდეს უცხო ენის წინაპირობა და მაგისტრატურაში მისაღებ ინგლისურ ენაში განისაზღვროს B2 დონე;
4. გადახედილ იქნას სილაბუსების თემატიკები და აღმოიფხვრას თემების, ძირითადი სასწავლო ლიტერატურის დუბლირება ამავე და სხვა საფეხურის სასწავლო კურსებთან;
5. გადახედილ იქნას სილაბუსების თემატიკები და შესაბამისი რელევანტური ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების და პერიოდიკის უახლესი გამოცემები იქნას მითითებული;
6. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
7. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
8. რეკომენდირებულია პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმში გაიწეროს შედეგებზე დაკვირვების გეგმა და პერიოდულობა;

რჩევები

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. სასურველია პროგრამა ითვალისწინებდეს დარგობრივი ინგლისური ენის არჩევითი კურსის სახით გავლას;
3. სასურველია უცხო ენის მისაღები გამოცდა ჩატარდეს ექსკლუზიურად ინგლისურში;
4. სასურველია გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა;
5. სასურველია უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის საუნივერსიტეტო კომიტეტი/საბჭო ან მემორანდუმი გააფორმონ სხვა დაწესებულების ბიოეთიკის საბჭოსთან თანამშრომლობის შესახებ;
6. უსდ-მ პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მეტი ჩართულობა უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
7. შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ჟულებით) შეფასება;
8. რეგულარულად მომზადდეს ვოკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის

- ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით;
9. სასურველია გაფართოვდეს გარე შეფასების არეალი და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

(ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება, კეროს მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც, „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

საბოლოოდ დაწესებულებას შესარულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნები, დაზუსტდეს, ჩამოყალიბდეს უფრო მარტივად, მოკლედ და მკაფიოდ;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვად;
3. რეკომენდირებულია დაზუსტდეს უცხო ენის წინაპირობა და დოქტორანტურაში მისაღებ ინგლისურ ენაში განისაზღვროს B2 დონე;

4. გადახედილ იქნას სილაბუსების თემატიკები და აღმოიფხვრას თემების, მირითადი სასწავლო ლიტერატურის დუბლირება ამავე და სხვა საფეხურის სასწავლო კურსებთ;
5. გადახედილ იქნას სილაბუსების თემატიკები და შესაბამისი უახლესი ინგლისურენოვანი სამეცნიერო წყაროები იქნას მითითებული;
6. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. სასურველია შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები (განსაკუთრებით პირველი და მეორე) და ჩამოყალიბდეს მოკლედ, მარტივად და მკაფიოდ;
3. გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყო;
4. უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის საუნივერსიტეტო კომიტეტი/საბჭო ან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდეს სხვა დაწესებულების ბიოეთიკის საბჭოსთან;
5. რეგულარულად მომზადდეს ვოკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით;
6. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და მისი საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიური შეფასება საერთაშორისო ექსპერტთა მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა
აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის
წარმოდგენით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 12:40სთ - ზე (25 ივნისი).

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თიკანაშვილი ნიკა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

ი.თავმჯდომარე

6. ი. ნინო

ქ. შენგელია